

ქეთევან ლომიკა

პატივსაცემად  
დაიწყო

ლიტერატურული ღვაწლი

ქეთევან ლომიძე

შაზღვისა და ზღვის  
დასახლებების

ლექსები  
ნოველები  
ჩანახატები

თბილისი  
2014



ქეთევან ლომიძე – არქიტექტორი  
ელ-ფოსტა: [ketilomidze59@gmail.com](mailto:ketilomidze59@gmail.com)

© ქეთევან ლომიძე

© გამომცემლობა „ნეკერი“, 2014

ISBN 978-9941-0-7446-2

## წინასიტყვაობა

ვისაც კუს ტბა არ უყვარს, ის ან თბილისელი არ არის, ან თბილის ქალაქს არ იცნობს. მე ხშირად ავდივარ იქ დასასვენებლად და ზოგჯერ სამუშაოდაც. ერთხელ „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანზე ვმუშაობდი, მაგრამ დიდი გაჭირვებით, რადგანაც თვალს სინათლე დამაკლდა და ლუპამომარჯვებული, ძლივს ვარჩევდი ასოებს. ერთი ცნობისმოყვარე ბელურა დაინტერესდა იმით, თუ რას ვწერდი და ჩამეკითხა. ალბათ შევეცოდე და დახმარება შემომთავაზა. ისე კარგად ფლობდა ქართულსა და რუსულ ენებს, იფიქრებდი, რომ სკოლა უდავოდ ოქროს მედალზე ექნებოდა დამთავრებული. თავიდან გამაკვირვა ბელურას ამ გულისხმიერებამ, მაგრამ რა გასაკვირია, ბელურები ხომ ადამიანების საუკეთესო მეგობრები არიან და მუდამ ადამიანებთან სიახლოვეში ეძებენ და ზოგჯერ ნახულობენ კიდევ სითბოსა და თანაგრძნობას. ჩვენ მალე დავმეგობრდით. ბელურა მიკითხავდა ტექსტებს და დროთა განმავლობაში, როცა მომიშინაურდა, გამოცდილი მასწავლებელივით მისწორებდა ლექსებს. ასეც ყოფილა, თურმე ბარტყებს ამეცადინებდა ფრენაში. ჩემთვის რა ფრენა უნდა ესწავლებინა, მფრინავის შვილიშვილი ვარ და თანაც, გუგული! ბოლოს იმდენად გამითამამდა, თუ რაიმეში არ ვეთანხმებოდი, ისე მიბრაზდებოდა, მზად ვიყავი, ჩემი ნებით კუთხეში დავმდგარიყავი, რადგანაც, არ გაგიკვირდეთ და ხშირად მართალიც იყო.

საკმაოდ რთული და პრობლემებით დატვირთული ცხოვრება ჰქონდა. მოგეხსენებათ, ბელურები ჩინელები-

ვით სწრაფად მრავლდებიან და ჩემს მეგობარსაც ოთხი ბარტყი ჰყავდა, ორიც შვილიშვილი და მესამესაც დღე-დღეზე ელოდებოდა. რა უსამართლობაა! ნუთუ მხოლოდ ბელურებმა უნდა იტვირთონ საქართველოს დემოგრაფიული პრობლემის გადაჭრა?

საუბედუროდ, გლობალურმა დათბობამ თუ არასტაბილურმა პოლიტიკურმა ვითარებამ შეუშალა ხელი ბელურების გამრავლებას იმდენად, რომ ისინი წითელ წიგნში შესაყვანები გახდნენ.



ერთხელ მოვუყევი, რომ საფრანგეთში იყო ერთი ბელურა, რომელსაც ედიტა ერქვა და ისე ჯადოსნურად მღეროდა, რომ ხალხმა პიაფი ანუ ბელურა შეარქვა. ის საფრანგეთის ბელურების დედოფალი იყო. მე კი კუს ტბის ბელურების სკოლის დირექტორი. აქ ყველა ბელურა ჩემს

ლექსებზეა გაზრდილი. სამწუხაროდ, ადამიანებს ბელურების ენა არ ესმით. მაგრამ, მე ხომ გუგული ვარ.

მან საიდუმლო გამანდო და თავისი ლექსები წამიკითხა. აღფრთოვანებული დავრჩი და ერთი-ორი რუსულ ენაზე ვთარგმნე. ბელურა ვალში არ დარჩა და ჩემი ლექსი გადმოაქართულა. ასე დაიბადა ეს წიგნი და თავად დარწმუნდებით, თუ რაოდენ დიდი სიყვარულისა და მშვენიერების შეგრძნების მომტანია მისი სულიერი სამყარო.

ერთხელ ბელურას ვკითხე, ნუთუ არ გეზარება, ან როგორ უძლებ ამდენ დატვირთვას, ჩემს გამო მაინც ნულარ შენუხდები-მეთქი.

მან კი მიპასუხა: მხედველობის დაკარგვა ჩემთვის ძალიან მტკივნეული თემაა. თქვენ რომ გხედავთ, მამაჩემი მახსენდება და აბა როგორ არ დაგეხმაროთო.

მიუხედავად ჩემი ასაკისა, არავინ მომმართავს სახელით გიორგი. ბავშვობიდან ყველა გუგულის მეძახის. კარის მეზობელი მყავდა, სახელად ჩიორა. პარალელური ტელეფონი გვქონდა. ერთ მშვენიერ დილას ზარი მაღვიძებს. ბოხი, ნაბახუსევი ხმა მეკითხება – „რომელი ხარ“?

– გუგული. – ვპასუხობ.

– არა, კაცო! – ჩაილაპარაკა. ეტყობოდა, არ ესიამოვნა, სხვაგან რომ მოხვდა. ამ დროს პარალელური ტელეფონის ყურმილიც აიღეს წკრიალა ხმით.

– შენ რომელი ხარ? – იკითხა გაკვირვებულმა ბოხმა ხმამ.

– ჩიორა – უპასუხა მეზობელმა.

– ვა, ჩიტების ბუდეა? – გამხიარულდა მამაკაცი.

იმ დღეს გადავწყვიტე, დამეარსებინა კლუბი „ჩიტების ბუდე“. და რადგან ჩიტების ჭიკჭიკს პახმელიიდანაც სასიამოვნოდ გამოჰყავს ადამიანი, გთავაზობთ ჩემი მეგობარი ბელურას ნაჭიკჭიკარს.

ძვირფასო მკითხველო, თქვენ უკვე მიხვდით, რა ბელურაზეა საუბარი და დასასრულს, მინდა ყველას ვუსურვო ისეთი ერთგული, გვერდში მდგომი მეგობარი და ნიჭიერი ადამიანი, როგორც ქეთევან ლომიძეა!



*გუგული ქებურია*





ფესვი







\* \* \*



სარკეში ვხედავ ნაცნობი სახის  
ამოუცნობი თვალების დუმილს.  
რამდენ ნაოჭად ჩაღვრილა დარდი,  
რომ დამალვოდა ნატვრას და სურვილს.

იქნებ მრუდვია, იქნებ მატყუებს?  
უნდა რომ შიშმა დამრიოს ხელი.  
არა და ვიცი, სიმართლეს ამბობს,  
მე კი მალულად სხვა პასუხს ველი.

მინდა ვიკითხო, ნუთუ ეს მე ვარ?  
ან სხვები ნეტა როგორს მხედავენ?  
სულის ანარეკლ დაღლილ თვალებში  
იქნებ ჩახედვას ვერ მიბედავენ.

მაინც ვუყურებ, თვალსაც ვუსწორებ  
ახალგაზრდობის ჩაფერფლილ ფერებს.  
ცრემლი მადგება, და ვილაც უცხო  
სარკის გაფანტულ ნამსხვრევებს ეძებს.





\* \* \*

ნაცრისფერ ცაზე თეთრი ღრუბელი  
მორცხვად შემორჩა, არ იცის რატომ.  
სადაც ელოდნენ, იქ ვერ მივიდა,  
უცხო სივრცეში დაფრინავს მარტო.


როგორ ვუშველო, რით ვანუგეშო?  
ჩემი ცხოვრების მაგონებს სარკეს.  
ნეტავი მალე მოვიდეს წვიმად,  
მშობელ მიწაში იმედით გათბეს.

\* \* \*

На сером небе облачко белеет,  
Как бы стыдясь, что заблудилось в нем.  
Земля родная облачко согреет,  
Когда вернется к ней оно дождем.

Я так хочу, чтоб облако вернулось,  
Чтоб было оно властно над судьбой.  
Дай Бог, чтоб у него все получилось,  
Дай Бог, чтоб так случилось и со мной...

*Вольный перевод  
Г. Кебурия*





\* \* \*

აღარ მინდა შუბლშეკრული ხალხი,  
აღარ მინდა ნალვლიანი ბგერა,  
მათხოვრების გამოწვდილი ხელი,  
მოხუცების უიმედო მზერა.

ერთმანეთის ღვარძლიანი კილვა,  
უნდობლობის გახლართული ქსელი,  
მტრადქცეული მეგობრების გმინვა,  
შავი ფერი, ყველგან შავი ფერი.

დაკარგული თაობების თრთოლვა,  
უმონყალოდ გარღვეული წლები,  
ბოროტების უტიფარი ქროლვა,  
ოცნებების არეული გზები.

დაცხრილული დედაენის ნაცვლად –  
ცხრა მთას იქით გამოცდილი ნიგნი  
და შვილების ვაჟკაცობის ნაცვლად –  
უღირსობის უსუსური ხიბლი.


ჩემი ტკბილი საქართველო მინდა,  
უღალატო მეგობრების მხარი,  
უღრუბლო ცა, მშვიდობის ცა მინდა,  
ქართველები – საქართველოს ფარი.

P.S.

სიზმარში ვნახე ქათქათა თოვლი,  
სისხლის მისდევდა კვალად წვეთები.  
ცაში ღვთისმშობლის სახე დავლანდე,  
ჩამოსდიოდა ღვარად ცრემლები.

2008





## ბავშვი ტიროდა



ბავშვი ტიროდა, მწუხრი კრთებოდა,  
ხეთა შრიალში შეირხა დარდი.  
ჰაერში ცრემლის სუნი დგებოდა,  
უძღურებისგან ჩამოჭკნა ვარდი.

ცაში ღრუბელი ინამებოდა,  
ნიავესაც ბზარი გაუჩნდა ხმაში.  
დაბრძენებულმა წლების სიცოცხლემ  
თავი ჩაქინდრა უსუსურ წამში.

ბავშვი ტიროდა, ბავშვი ტიროდა,  
ანგელოზს ფრთები ეწვოდა ცაში.

2010









\* \* \*

მარტო დარჩება ჩემი საფლავი,  
გამხმარ ფოთლებში ჩაფლული ჯვარი.  
მრავალ გაზაფხულს შეცვლის მრავალი,  
სულ სხვა სიცოცხლის იქნება კვალი.

სხვა დასასრული არც მინატრია,  
მე მხოლოდ კითხვა მანუხებს ერთი:  
ჩემი შვილების ბედნიერ ღიმილს  
თუ დამპირდება უფალი ღმერთი?

2011





## ფიფქები ცრემლად ქცეული

ციდან თოვლი ნისლად წვება,  
ვერ ვერევი ნალველს,  
თვალზე ნისლად მეფარება,  
მანყვეტინებს სათქმელს.


ბავშვობიდან თეთრი ზამთრის  
ალტაცება მიხმობს,  
მე კი ფიფქებს ვერ ვუღიმი,  
თეთრი შიში მიპყრობს.



აუხდენელ ოცნებათა  
ლანდებილა მათოვს,  
წლების ტვირთით დამძიმებულ  
ყინულს ველარ ადნობს.

თოვლი დაღლილ ცრემლად მოდის,  
ფრენა აღარ მინდა,  
ბუხრის გვერდით ერთგულების  
ჩახუტება მინდა....

თეთრი თოვლი,  
თვალზე ცრემლი,  
ჭალარა და წმინდა...

2011





## სადგური


სადგური. ხალხის ფუსფუსი.  
ჩამოდგნენ მატარებლები.  
უდარდელ ქროლვას ელიან  
ადამიანთა ვნებები.



შავი ღრუბელი იცინის,  
ცის სილაჟვარდეს არ ინდობს.  
დრო ინურება სისინით,  
სამართალს არავინ ითხოვს.

დაიძრა მატარებელი,  
ქროლვის მოლოდინს ამხნევეს,  
მაცდური ვაგონებიდან  
უიმედობას აძევეს.

ბაქანზე ტოვებს უგულოდ,  
თითქოს საერთოდ არ იცნობს.  
ისევ შავია ღრუბელი,  
შენდობას მაინც არ ითხოვს.

2012





## ВОКЗАЛ


Вокзал, толкаются вагоны.  
Народ привычно суетится,  
Пусть их благословят иконы,  
Уехать так, чтоб возвратиться.

Зовет их ветер путешествий,  
Чтоб новизною насладиться.  
Не обойтись без происшествий,  
Когда так хочется влюбиться.



А тучи черные гуляют,  
Над небом и людьми смеются...  
Перрон вагоны покидают,  
Не успевая оглянуться.

Их взглядом люди провожают,  
Для них в вагонах места нет.  
А тучи небо закрывают  
И все слабей надежды свет.

*Вольный перевод  
Г. Кебурия*







## პეპელას ნუ იჭერთ

ფიქრები სნეული  
წყვდიადში დავობენ.  
გულისთქმის დაჯაბნას  
მზაკვრულად ლამობენ.


აზრების ჭიდილში  
გული დამელია.  
ველარ ვუმკლავდები,  
ღმერთო, რამდენია!

წვიმის და ზღვის ფერი  
სადღაც დამეკარგა.  
ჩემთვის სიკვდილს უდრის,  
როგორ დამემართა!

ტურების სიცილში  
სულს ლაფავს სამყარო,  
გაძალებს თილისმად  
ხანჯალი ატარო.



არ მინდა ვიბრძოდე,  
არ მინდა ვმაღავდე,  
საკუთარ ცხოვრებას  
ოცნებას ვპარავდე.

პეპელას ნუ იჭერთ!  
დევნით ხომ დაღალეთ.  
სიცოცხლის ნუთი აქვს,  
იფრინოს, აცალეთ!



2012





\* \* \*


განა მართლა ბევრი უნდა იმედს?  
– მხოლოდ ერთი თეთრი აფრა ზღვაში...  
განა მართლა ბევრი უნდა იმედს?  
– თუნდაც ერთი მეგობარი მხარში...  
განა მართლა ბევრი უნდა იმედს?  
– სიყვარულის ბგერა ნაცნობ ხმაში...  
ნუთუ ასე ცოტა უნდა იმედს?  
– მხოლოდ დილის სუნთქვა ღამის ცაში...



2012

\* \* \*

Что может в сердце заронить надежду?  
На горизонте парус в синем море.  
Что может в сердце заронить надежду?  
Плечо товарища, подставленное в горе.  
Что может в сердце заронить надежду?  
Дыханье ночи в небе предрассветном.  
Но самый верный путь вернуть надежду: –  
Волна тепла любви во взгляде встречном.

*Вольный перевод  
Г. Кебурия*








## ჩემი ოცნების მერი

ტყე დაადუმა უღრანი  
ირემმა ქედზე მდგომმა.  
ზეცის ლაჟვარდი ჩააქრო  
ცისკრის ვარსკვლავმა შორმა.

და მენანება უზომოდ,  
ჩემი ოცნების მერიმ  
უსახურ, მტვრიან ჩარჩოში  
როგორ დაკარგა ფერი.....

2012









\* \* \*

ნეტავ ვნატრობდე გაზაფხულს,  
დღეებს ველოდე მზიანს,  
ცაში მერცხლების ჭიკჭიკს და  
იასამნების ბრდღვიალს!

მაგრამ მხოლოდ შენ გაიგებ,  
ნაღველი როგორ ცრიდა,  
და რომ ზამთრის ამ საღამოს  
დრო გაიყინოს მინდა!

2012








## თარიღი ორი

დუმელი ქვათა.  
თარიღი ორი.  
სანთლების ცრემლი.  
გზა შორზე შორი....  
სურნელი მინის.  
გოდების კვალი.  
ანაზდად ურჩი  
ფიქრების ჯარი.  
სინდისის ქენჯნა.  
წარსულის ნატვრა.  
ყვავილთა ჭკნობა.  
ქვითინის ჩაკვლა.  
წინაშე ზეცის  
ეჭვი და შიში,  
იმედის კართან  
ჩამდგარი ჯიბრში.

დუმელში ქვათა  
სანთლების ცრემლში,  
ჟამთა სვლის ზღვათა  
გარდასვლა წვეთში....

2012







## იქნებ წვიმასაც ტირილი უნდა?



ცრემლები ზეცის წვიმად იღვრება,  
შრიალით ხეთა თავს ირთობს ქარი,  
ფერებას მზისას სხივთა ამბორში  
ელის რიჟრაჟზე ობოლი ცვარი.

ფიქრი – ზღვის ტალღა, ფიქრი – ღრუბელი,  
წარმოსახვისთვის ზღვარს ველარ ვხედავ.  
იქნებ წვიმასაც ტირილი უნდა?  
მისი ცრემლები სად არის ნეტავ?

ცრემლების წვიმა,  
თუ წვიმის ცრემლი?  
კვალის გაქრობა,  
თუ ქრობის კვალი?  
სიჩუმის ხმა,  
თუ ხმების სიჩუმე?  
კითხვებად დაქრის ვერაგი ქარი....

2012






## ბედის ირონია



მოგონებების ტალღებზე რწევა  
სიამოვნების მორევში გითრევს.  
ვნებათა ლელვა ისევ და ისევ  
ამაოებას დუელში იწვევს.

სადღაც ელვა და ცის ქუხილია,  
სადღაც სიჩუმე გონებას კარგავს,  
შენ კი არ იცი, რას ეზიარო,  
წყურვილის კვლაში სულს რა გათანგავს.

მეფობა გინდა, განცხრომას არჩევ,  
შენთვის კურთხეულ გზას კი ვერ ამჩნევ.  
და როცა თვალი აგეხილება,  
ბედს სწორედ მაშინ ჩაეცინება.

2013





## პაემანი ბედთან

ისევ კითხვის ნიშნები.  
ისევ მოლოდინი.  
თავს დამჩხავის ყვაფივით  
ირონია ცივი:

შენ გგონია იცხოვრე?  
ფიქრობ რამე შეგჩა?  
ღვანლი რა გაქვს, თავისთან  
რომ მოგიხმოს ღმერთმა?

გაარჩიე აქამდე  
მართალი და ფლიდი?  
მეექვება გელირსოს  
დასასრული მშვიდი.

ღირსებას დაეძებდი?  
უსუსური ბრმა ხარ.  
ისევ უფსკრულს დაჰყურებ,  
ისევ მონას ჰგავხარ....

გაყინული გონება  
შველას ვერც კი მთხოვდა,  
თუმცა გულის კუნჭულში  
სითბო მაინც თოვდა.



გალაქტიკას დამპირდა  
პაემანი ბედთან,  
ჩურჩული რომ ჩამესმა:  
„დავბრუნდები შენთან!“



2013







## ნუ მეტყვი, ვიცი

(ვუძღვნი საუკეთესო მეგობარს)

ნუ მეტყვი: „ნავალ...“  
ისედაც ვიცი,  
დინებას გაჰყვა  
დალლილი ფიცი.


ვილაცას უყვარს,  
ვილაცას სტკივა,  
მე უძლურების  
ცრემლები მცვივა.



ვინატრო როგორ,  
ვიდარდო ვისთვის?  
იმედი ბოლო  
სიტყვისთვის იცდის.

ტყის თავზე მაინც  
დაფრინავს ძერა,  
მაისშიც წყდება  
სიცოცხლის ძგერა.

მაბარდნის ფოთლებს  
ნატანჯი ფერის.  
ნუ მეტყვი ვიცი,  
ზამთარი მელის....

2013






\* \* \*



Не говори мне ничего, ведь я и так все знаю,  
Лед на душе моей лежит, и я от горя таю.  
Не говори, что ты уйдешь, без слов я умоляю,  
В последний путь, любовь свою с тобой я провожаю.

Когда-то верили с тобой мы в счастье и удачу,  
Но ты прощаешься со мной, я от бессилья плачу.  
Надежда ждет последних слов, пощады смерть не знает.  
Она, коварно, майский день на траур обрекает.

Не говори мне ничего, ведь я и так все знаю,  
Лед на душе моей лежит, и я от горя таю.  
Я в день последний, жизнь с тобой, как праздник вспоминаю.  
Зима, как волк идет за мной, я к небесам взываю!

*Вольный перевод  
Г. Кебурия*





## და მანც


უნდა გვეყვირა....  
ვდუმდით.  
უნდა გვეძალა ....  
ვთმობდით.  
უნდა დაგვეცვა....  
ვკარგეთ.  
უნდა გვერწმუნა...  
ვბჭობდით.

სხვებს უხოცავდნენ შვილებს....  
ჩვენ არ ვიცვამდით ძაძებს.  
სხვები რეკავდნენ ზარებს....  
ჩვენ ვიბურავდით სახეს.


მიუსაფართა სულებს  
არავინ ედგა მხარში,  
ამაოდ სურდა წმინდანს  
ძმა ამოეცნო მათში.



ნაცარმობნეულ ველზე  
სინდისის ჩანდა კვალი.  
გზას გადგომოდა უხმოდ,  
ვერ აეტანა ბრალი.

უნდა დაგვეცვა, უნდა....  
ჩვენ უღირსობა ვზარდეთ.  
უნდა გვებრძოლა, უნდა....  
ჩვენ სასოება დავთმეთ!



2013





## იმან იცის

ყველა ნუთი დათვლილი აქვს თურმე,  
იმ ანგელოზს, ჩემს მხარზე რომ ზის.  
ყველაფერი იცის, ჩემზეც, სხვაზეც,  
საიდუმლო მიწისა და ცის.



არ დამტოვებს, ჩემი სევდა სტკივა,  
ფეხს ნამოვკრავ, შემაშველებს ხელს,  
ქანცგამოცლილ, გახუნებულ ფიქრებს  
ერთი სიტყვით დაუბრუნებს ფერს.



ისევ იმას ვიტყვი, რასაც ვიგრძნობ,  
თუმცა ზოგჯერ ეჭვი მაინც მღრღნის:  
იქნებ უკვე აღარავინ მისმენს  
და ცხოვრებაც უკვე აღარ მცდის.

რამდენ ფოთოლცვენას ვნახავ კიდეც,  
იქნებ სულაც ბოლო იყო წელს?  
რამდენ ნატვრად აფეთქდება გული,  
იქნებ სულაც ბოლო იყო დღეს?

დათვლილია ყველა ნუთი, წამი,  
და ერთმანეთს დღე და ღამე ცვლის.  
ჩემთან ერთად იცრემლება ხოლმე  
პანანინა ანგელოზი ცის.

2014





## ყვაოდა იასამანი


იყო და არა იყო რა,  
ან როდის იყო, ვინ იცის?  
ბედნიერების საათებს,  
ან თუნდაც დღეებს, ვინ ითვლის?

ეს იყო საუკუნის წინ,  
ან იქნებ გუშინ, არ მახსოვს...  
იასამანი ყვაოდა,  
ყვაოდა როგორც არასდროს.


ზღაპარს ქარგავდა სურნელი,  
ჰანგებს გაანდო სათქმელი,  
ბედნიერებაც ატირდა,  
ვერ დაიჭია ამდენი.



თვალებს დავხუჭავ, ჩამესმის  
და მოგონება დამათრობს:  
ყვაოდა იასამანი,  
ყვაოდა როგორც არასდროს.

სურნელი იმ დრომ წაიღო,  
ჩემს ფანჯრებს მიღმა რომ მიქრის.  
მართლა ყვაოდა, თუ მხოლოდ  
ზმანება იყო, ვინ იცის...



2014





*Картина прошлого порой,  
На миг вдруг оживает,  
И целый день потом в душе  
Сирень благоухает...*

*Миг счастья, знаю, не вернуть,—  
Чудес ведь не бывает,  
Но как, же малого душе  
Для радости хватает...*

Г. Кебурия

## **ВОСПОМИНАНИЕ, КАК АРОМАТ СИРЕНИ...**



Импровизация на тему К. Ломидзе

То было ль, не было, – кто знает,  
У счастья нет своих часов.  
Когда сирень благоухает,  
Теряет смысл порядок слов.

Не помню я ни дня, ни года,  
Когда легла на сердце тень, –  
Прощалась будто бы природа,  
Как никогда цвела сирень...

И, даже счастье разрыдалось,  
Узнав, что есть конец всему:  
Печально солнце улыбалось,  
Как будто всем и никому...

То было ль, не было, – кто знает,  
У счастья нет своих часов.  
Когда сирень благоухает,  
Теряет смысл порядок слов.





## გაფრინდება



ნატვრა წვიმად გადამექცა,  
დამისველა ფრთები.  
წეროები მიფრინავენ,  
მე კი ისევ ვრჩები.

თუ ბელურად დავიბადე,  
რატომ მიხმობს მაშინ  
მზის სხივების დადევნება  
ოცნებათა ცაში?

ხის ტოტებში მიყუჟულა  
ჩემი გულისცემა,  
ნუთუ შევძლებ დავინახო  
ვარსკვლავების ცვენა?

„ოქროსფერი ფრთები შენთვის  
მთვარეს უჩუქნია,“  
მაიმედებს თოვლის გულზე  
ამოსული ია.

2013

\* \* \*

მენატრება მამაჩემის ლიმილი.  
მარტო მე არა, ბევრნი ამბობენ...

ქ.ლ.

იმ ზამთარს ქალაქს თოვლი სტუმრობდა.  
გზებიც მოყინა. სახლები თვლემდნენ.  
და აცილებდა ქურა ქათქათა  
მდუმარედ იმ კაცს, პატივს რომ სცემდნენ.

იგივე ქურა. ჭადრების ჩრდილი.  
ნაცნობ აივნებს მზის შუქი ფარავს,  
მაგრამ არ დადის ის ბოლო კაცი,  
ქუდის მოხდით რომ ამბობდა სალამს.

2014

\* \* \*



*Не только я о нем скучаю, не только я...*

Он каждый раз снимал при встрече шляпу,  
Казалось, взглядом согревал он вас.  
Таким галантным помнила я папу,  
Таких уже не встретишь среди нас.  
Дома в снегу, казалось что грустили,  
Зима в тот год морозною была,  
Сняв шапки, в путь последний проводили  
Его тбилисцы, бросив все дела.

Все тот же город, тот же дом,  
Прохожих даже больше стало,  
Но тех, кто мог бы шляпу снять,  
Увы, осталось очень мало

*Вольный перевод Г.Кебурия*





## ჩემს ლურჯოთვალას


მე შემოდგომას ჩემი დავარქვი,  
მაგრამ არ ვიცი, ვთქვა თუ გავჩუმდე.  
ქარი ქირქილებს: “დასასრულია!”  
ხე შვილებს უხმობს: “უნდა დაბრუნდეთ!”



ფოთლები ქარში ფარფატს იწყებენ,  
ცაში ნავარდის ნატვრა უხდებათ,  
და არ იციან, რა ხანმოკლეა  
უკანასკნელი თავისუფლება.

პატარა ბიჭი მინას დაჰყურებს,  
ლურჯი თვალები ცრემლით ევსება:  
“დედიკო ფრთხილად, არ დავაბიჯოთ,  
ფოთლებს სტკივათ და ფერიც ეცვლებათ”.

წვიმა სევდისფერ წვეთებად მოდის,  
ვილაც ჩურჩულებს: “ვერ დავბრუნდები...”  
ჩამოყრილ ფოთლებს დარდობენ თურმე,  
იმ ბიჭთან ერთად, რუხი ღრუბლები.

2014





\* \* \*

Я в осени себя признала:  
Томит прощания печаль.  
Несутся листья вслед за ветром,  
Деревья голые стоят.


Как будто ждут, и не дождутся,  
Вернуть себе весны наряд.  
А листья радостно смеются,  
И стайкой в облаках парят.

Они так счастливы в полете,  
Ведь небо было их мечтой.  
Но их свобода эфемерна, –  
Ждет скоро встреча их с землей.

На листья мальчик загляделся,  
Жалеет он их красоту:  
«Они пока еще живые,  
Я их сторонкой обойду».



Печаль дождя мне так знакома –  
Земля их завершает путь.  
Над правдой жизни мальчик плачет:  
Деревьям листья не вернуть....

*Вольный перевод Г.Кебурия*







«ЕЩЕ НЕ ВЕЧЕР...»

Вы спускаетесь в бар,  
вы садитесь у столика крайнего,  
Чтоб потом незаметно,  
для себя же, бесследно уйти.  
Вам не хочется слов,  
вы идете из рейса дальнего,  
Вам до гавани надо  
свой бокал, не разбив, донести.  
С ним душевный настрой  
обретает иное звучание.  
В нем напиток волшебный  
закодирован, словно тайник.  
Стоит выпить его,  
и вся жизнь приплывет на свиданье,  
И доверчивым шепотом  
вам про вас все расскажет двойник.  
Вы увидите след,  
уходящий в далекое прошлое,  
Словно пена волны,  
убежавшей, как жизнь, за кормой.  
Вы столкнете за борт  
все случайное, ветхое, пошлое,  
Не оставив себе  
ни греха, ни гроша за душой.  
Но бокал уже пуст,  
хоть вино продолжает движенье,  
Разнося по углам  
сердцу милые письма, слова.



Мы храним их всю жизнь,  
как копилку святого волнения,  
Как аквариум детства,  
из которого слита вода.  
Вы встряхнете душой,  
отгоняя страниц наважденье,  
Вы посмотрите в зал,  
наливая напиток в бокал.  
И случайно в него  
попадет хрупкий миг наслажденья,  
Вы увидите рядом,  
столь знакомый, камеи овал.  
Вы поймете тогда,  
что напрасно тоскуете в гавани,  
Что не штиля, а шторма  
ждут ревнивой любви паруса,  
Что пора выходить вам  
навстречу ветрам, снова в плаванье,  
И, подняв свой бокал,  
вы посмотрите даме в глаза.  
И в безмолвный ваш мир  
вдруг ворвутся мелодии страстные,  
И по палубе шаткой  
затанцует интриги канва.  
А в каюте у вас  
оживут сновиденья прекрасные,  
И продолжат свой спор  
день и ночь... и огонь и вода.









## დაღამებაჲმდე ჯერ კიდევ დროა


*ქეთევან ლომიძის თარგმანი*

განმარტოვებულ მაგიდასთან  
 შეავსებთ სასმისს,  
 არ გსურთ სიტყვები, მხოლოდ ღვინის  
 იდუმალება,  
 შორი გზა განვლეთ, გიხმოთ სანდო  
 ნავსაყუდელი,  
 მშვიდი ოცნება, ჭიქის ფსკერზე  
 რომ იმალება.  
 წარსული წლების მოგონებებს  
 უხმობს სასმელი,  
 ცხოვრებას თქვენსას ორეული  
 ჩურჩულით ყვება,  
 და აღარ გინდათ ტვირთი ძველი,  
 სულს რომ გიმძიმებთ,  
 მიმავალ ტალღებს გაატანეთ  
 ცოდვათა ვნება.  
 ნებდებით ბახუსს, გულში სევდა  
 დაისადგურებს,  
 სათუთ ზმანებას ბავშვობისას  
 ეხდება ფარდა,  
 როგორც საგანძურს წრფელი გრძნობის  
 სულ რომ ვინახავთ  
 და არ ვიტოვებთ მოგონებას  
 სხვას, ამის გარდა.





სასმისი ისევ შეივსება  
გრძნეული ღვინით,  
მიმოიხედავთ, მოიშორებთ  
ფიქრების თოვას  
და ათრთოლდება უცებ წამი,  
შემთხვევის მსხვერპლი,  
დალანდავთ იქვე ასე ნაცნობ  
კამეის ოვალს.  
მიხვდებით, რომ ჯერ ტრფობის აფრა  
არ დაშვებულა,  
რომ ისევ დროა შეეჭიდოთ  
ქარებს გესლიანს,  
და მოგიხმობენ ქალის თვალთა  
ათინათები,  
სიჩუმეში რომ შეუძღვება  
ჰანგებს ვნებიანს.  
მიხვდებით, რომ ჯერ ზეცას ბინდი  
არ შეპარვია,  
რომ გააცოცხლა ქარიშხალმა  
მდუმარე ტალღა,  
წამოიშლება საოცარი  
სიზმრების გუნდი,  
განაგრძობს კამათს დღე და ღამე...  
ვნება და დაღლა.







ნოკლები



## ქამელონი

ორი სასიამოვნო გარეგნობის შუახნის ქალბატონი აუჩქარებლად მიუყვებოდა პარკის ხეივანს. ხმადაბლა საუბრობდნენ, ორივეს მომღიმარი სახეები ჰქონდათ.

– როგორ მიხარია, ჩემო კარგო, რომ შენმა შვილმა ამდენი ყოყმანის შემდეგ არჩევანი გააკეთა და ცოლი მოიყვანა. გული მწყდება, ქორწილში რომ ვერ მოვედი. მომიყევი, როგორი გოგოა.

– ისეთი ბედნიერი ვარ! ნამდვილად მრავალმხრივ შემკული ადამიანია: შესახედაობით, გვარიშვილობით, ხასიათით. იცი, ერთ რამეში უნდა გამოგიტყდე. საკუთარი თავის მრცხვენია. პირველად რომ ვნახე, გავიფიქრე: – როგორი ცივი თვალები აქვს–მეთქი, და ცუდი განწყობა დამეუფლა.

– ახლა შეიცვალე აზრი?

– რას ამბობ, ამას აღარც გავიმეორებ! ძალიან თბილად მექცევა. ქორწილში სტუმრების წინაშე ჩემდამი ისეთ პატივისცემას გამოხატავდა, ყველამ აღნიშნა. მაღალ საზოგადოებაში ტრიალებს. საერთო ნაცნობებმა მითხრეს, რომ ქველმოქმედებას ეწევა, ეკლესიაში დადის. გაუმართლა ჩემს შვილს, ასეთი გულისხმიერი ადამიანი რომ ეყოლება გვერდით.

– ჰო, ეს მართლაც ბევრი რამის მთქმელია.

– იცი, გულით მინდა რამე საჩუქარი გავუკეთო. ჩემი ფინანსური შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ძვირადღირებულს ვერაფერს ვუყიდი. თუმცა ჩემმა შვილმა დამამშვიდა: – ჩემს ცოლს ყველაფერი ძალიან კარგად ესმის და ნუ ნუხარო. – ამიტომ გადავწყვიტე, მოსასხამი მოვუქსოვო. გარეთ თუ ვერ გამოიყენებს, სახლში მაინც

იხმარს. მისი საყვარელი ფერი შევარჩიე და ჩემი სიყვარული ჩავაქსოვე. თითქმის დავასრულე და ერთ-ორ დღეში ვაჩუქებ.

–კარგად მოგიფიქრებია. მიხარია, რომ ყველაფერი ასე აგეწყო.

ქალები პარკის შესასვლელს მიუახლოვდნენ, ერთმანეთს დაემშვიდობნენ და თავ-თავის გზას გაუდგნენ.

ორიოდე კვირის შემდეგ, დილაადრიან ერთ-ერთი მათგანი სასეირნოდ გამოვიდა და ქუჩას გაუყვა. მშვენიერ გუნებაზე იყო, ახალგაზრდობისდროინდელ საყვარელ მელოდიას ღლინებდა. თავისი შვილის და რძლის სახლს გაუსწორდა. ჩაელიმა. გაახსენდა, როგორ მოენონათ ახალგაზრდებს მისი საჩუქარი და როგორ თბილად გადაუხადა მადლობა რძალმა.

ქუჩა ჯერ ვერ გამოფხიზლებულიყო ღამის ძილისგან და გასუსული ელოდა სიცოცხლის მაჯისცემას. მხოლოდ მეეზოვეების გადაძახილი ისმოდა ხანდახან.

უცბად ჩაესმა: „შეხედე რა ლამაზია! ნეტავ ვინ გაიმეტა? იმ ოჯახაშენებულს, თუ არ სჭირდებოდა, პარკში მაინც ჩაედო და ისე დაედო გვერდით, საჭმელების ნარჩენებთან ერთად რომ ჩაუგდია.“

ქალმა მიიხედა. სანაგვესთან ორი მეეზოვე იდგა. ერთ-ერთს ხელში მისი მოქსოვილი მოსასხამი ეჭირა და გაკვირვებული ათვალიერებდა.

## „დიდი კაცები“

– რამდენი წარმატებული და გამოჩენილი ადამიანი ჩამოგიტვალეთ! მე დღეს ამაყი ვარ იმიტომ, რომ ისინი ყველანი ჩემი მოსწავლეები იყვნენ. დღესაც შენახული მაქვს მათი სკოლისდროინდელი რვა მარტის და ახალი წლის მისალოცი ბარათები. ყველა ერთნაირი თბილი სიტყვებით იწყება: “ჩემო საყვარელო დარეჯან მასწავლებელო...” – ამბობდა ტელევიზორის ეკრანიდან ოთხმოც წელს გადაცილებული სანდომიანი სახის ჭალარა ქალბატონი. – ამ ადამიანებიდან თუნდაც მხოლოდ ერთი რომ ყოფილიყო ჩემი მოსწავლე, მე მაინც უბედნიერესი ადამიანი ვიქნებოდი, – დაასრულა მან ღიმილით.

ამ გადაცემიდან რამოდენიმე თვის შემდეგ ქალბატონი დარეჯანი გარდაიცვალა. ოჯახი არ ჰყავდა. მთელი ცხოვრება სკოლას და ახალგაზრდა თაობების აღზრდას შეაღია. მარტო ცხოვრობდა და მისი ყოფაც მეტად მოკრძალებული იყო. ვერც ნათესავების სიმრავლით დაიკვეხნიდა. ასე რომ, დაკრძალვასთან დაკავშირებული საქმეების მოგვარება მეზობლებმა ითავეს და კიდევაც გაართვეს თავი. ყველას შეატყობინეს, ყოფილ მოსწავლეებსაც და მონინებით ელოდნენ საპატიო სტუმრებს. მაგრამ გამოსვენების საათი ისე მოახლოვდა, არავინ მოსულა. მხოლოდ ერთი ჩია კაცი გამოჩნდა, რომელიც მიცვალებულს დარეჯან მასწავლებლად იხსენიებდა. ყოველ დღე მოდიოდა. მორიდებით იდგა ხოლმე კარებთან და თუ რამე იყო გასაკეთებელი, უსიტყვოდ იქვე გაჩნდებოდა. ბოლო მომენტშიც მან შეაშველა თავისი ხმელი მხარი კუბოს და უკანასნელ გზაზე გააცილა ქალბატონი დარეჯანი.

მესაფლავეებმა ბოლო მინაც მიაყარეს საფლავს და იქვე ჩამოსხდნენ. ღვინო ჩამოასხეს შესანდობარის სათქმელად. ჩია კაციც იქვე იყო. სასმისი ასნია და გაბზარული ხმით თქვა: – ღმერთმა გაანათლოს დარეჯან მასწავლებლის სული. სკოლაში ოროსანი ვიყავი. სულ იმას მეუბნებოდა: “ისწავლე, ხომ გინდა, დიდი კაცი გამოხვიდეო.” – მე კი არ ვუჯერებდი. მართლაც ვერაფერს მივალწიე, ერთი უბრალო კაცი ვარ. დარეჯან მასწავლებელი კი ძალიან მიყვარდა.

ღვინო დალია. იქ მყოფთ მადლობა გადაუხადა და გზას გაუდგა.

ხანშიშესულმა მესაფლავემ თვალი გააყოლა და თავის ახალგაზრდა მეწყვილეს უთხრა: – ეს ადამიანი დღეს პირველად ვნახე. მაგრამ დამიჯერე, შვილო, ის ბევრ „დიდ კაცად“ ცნობილ პიროვნებაზე უფრო დიდი კაცია.

## მეტამორფოზა

ყმანვილი ნელა მიუყვებოდა ხალხმრავალ ქუჩას. საკმაოდ წარმოსადეგი გარეგნობა ჰქონდა. ნვერგაპარსული, მოდურად და სუფთად ჩაცმული – სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებდა. ერთ ადგილას, დახლთან შეჯგუფებულ ადამიანებთან, ცოტა ხნით შეყოვნდა, შემდეგ გამობრუნდა და ნაბიჯს აუჩქარა. საცხოვრებელი სახლის სადარბაზოში შევიდა. ჯიბიდან საფულე ამოიღო, გახსნა, ყურადღებით დაათვალიერა, ფული ამოიღო და

ჯიბეში ჩაიდო. საფულე კი იქვე, კიბის მოაჯირზე ჩამო-  
დო. სადარბაზოდან საქმიანი ნაბიჯით გამოვიდა და ისევ  
ქუჩას გაუყვა.

ეს მისი პროფესია იყო – ე. წ. „ჯიბის ქურდობა“ –  
საქმე, რომელსაც ორიოდე წლის წინ მოჰკიდა ხელი და  
რაც დრო გადიოდა, უფრო მეტი გულისყურით ეკიდე-  
ბოდა. იშვიათი უნარი ჰქონდა, მის გარშემო მყოფი ადა-  
მიანები ერთდროულად ყოლოდა თვალთახედვის არეში.  
ძირითადად მათ სხეულებს, განსაკუთრებით ხელებს,  
აკვირდებოდა. არასდროს ჩქარობდა. უტყუარი ალლოთი  
აკეთებდა არჩევანს და თავის სამიზნეს უახლოვდებოდა.  
ბოლო მომენტში ახედავდა სახეს, ისიც იმისთვის, რომ  
მზერის მიმართულება გაეკონტროლებინა. თვალეში  
არასდროს უყურებდა, თვითონ კი ისეთი გამომეტყველე-  
ბა ჰქონდა, თითქოს რაღაც მძიმე ფიქრებს მინდობილი,  
მისი გონება სულ სხვაგან დაფრინავდა. თითქმის ყო-  
ველთვის უმართლებდა. მის მიერ არჩეული ადამიანები  
უცბად ვერ ხვდებოდნენ მის ნამოქმედარს. მაგრამ როცა  
აღმოაჩენდნენ, მასზე მაინც ვერ მიჰქონდათ ეჭვი, თანაც  
ის უკვე შორს იყო ხოლმე. მუშაობდა გარკვეულ საათებ-  
ში, საგულდაგულოდ შერჩეული გრაფიკის მიხედვით.

დედაქალაქის ერთ ძველ უბანში ცხოვრობდა. პატარა  
ოთახს ქირაობდა. მეგობრები არ ჰყავდა, მხოლოდ –  
რამოდენიმე ნაცნობი. მისთვის ახლობელი ყველა ადამი-  
ანი სოფელში დარჩენილიყო. მაგრამ გული მათკენ არ  
მიუწევდა. მთელი კვირა თავისი საქმიანობით იყო გარ-  
თული და მოუთმენლად ელოდა შაბათ–კვირის სალა-  
მოებს – დროს, როცა იწყებოდა მისი ცხოვრება. შეგრო-  
ვილი თანხით ყიდულობდა ბილეთებს. ზოგჯერ ფული  
საჭმლისთვის აღარ რჩებოდა, მაგრამ ეს არ ანუხებდა.

არც ერთ წარმოდგენას არ აკლდებოდა. რამოდენიმე საათით ადრე იწყებდა მზადებას და მიდიოდა თეატრში...

დარბაზში პირველი შედიოდა. განსაკუთრებით უყვარდა ეს შეგრძნება: ცარიელ დარბაზში ფეხის შედგმა, დაშვებული ფარდები, სიჩუმე და სიგრილე. შემდეგ იწყებოდა მისთვის მეორე საინტერესო პროცესი: დარბაზში შემოსული ადამიანების დაკვირვება. იზიდავდა მათი სახეები – სერიოზული და მომღიმარი, მომლოდინე და გულგრილი, სანდომიანი და ულიმლამო, მაგრამ ყველა ერთი ინტერესით – ფარდის აწევის მოლოდინით გაერთიანებული. ამას მოყვებოდა სრული თავდავინყება: წარმოდგენის დაწყება. ყველაზე მეტად უყვარდა ის მომენტი, როდესაც დარბაზში შუქები ქრებოდა და სცენა ცოცხლდებოდა. თავისი შორეული და მონატრებული ბავშვობის მხოლოდ ერთ მომენტს თუ შეადარებდა ამ შეგრძნებას: კარგ ამინდში, გამთენიას, აივანზე რომ გამოვიდოდა და გამჭვირვალე ჰაერის მიღმა კავკასიონის შორულ თოვლიან მთებს დაინახავდა. სიძლიერის, სისპეტაკის, სიმშვიდის და იმედის საოცარი შეგრძნება ეუფლებოდა ხოლმე. სოფლიდან წამოსვლის შემდეგ მხოლოდ აქ – თეატრში მეორდებოდა მისი კავკასიონი.

ანტრაქტის დროს და სპექტაკლის დამთავრების შემდეგ იყო წარმოდგენით მიღებული შთაბეჭდილებები და ისევ მაყურებელთა სახეები, ბოლოს – თეატრიდან სახლამდე, თითქოს სხვა განზომილებაში გაჭრილი გზა და პატარა ოთახში მშვიდად ჩაძინება. არც ერთხელ არ მოსვლია აზრად თავისი ხელობა თეატრში გამოეყენებინა. ბედნიერი იყო.

მაგრამ ის ავბედითი დღეც დადგა. ყველაფერი ჩვეულებრივ წარიმართა. ანტრაქტის დროს კი მისი მზერა შეჩერდა ქალის გახსნილ ჩანთაზე, რომლიდანაც პირდაპირ ეძახნდა მაცდური კუბიურა. ქალი საუბრით იყო გართული და ვერაფერს ამჩნევდა. ყმანვილმა თავი ვერ შეიკავა და ფული ჩვეული ოსტატობით მის ჯიბეში აღმოჩნდა. იქვე ინანა. მეორე მოქმედებაში რა ხდებოდა, ველარ გაიგო, კუბიურა ჯიბეს უწვავდა. შუქი აინთო. უცებ იდგა მოუვიდა და ქალს მიუახლოვდა. იცოდა, ისევე შეუმჩნევლად დააბრუნებდა ფულს, როგორც ამოიღო. მაგრამ ქალს ჩანთა ჩაეკეტა და ხელით წელზე ჰქონდა მიკრული. ახალგაზრდას გამოხედა და გაუღიმა, ეტყობოდა ფულის დაკარგვა ჯერ ვერ შეემჩნია. თეატრის შენობიდან გავიდა და მანქანაში ჩაჯდა.

ასეთი სანდომიანი ღიმილი კაცს არასდროს ენახა. ყურებში უცნაური სიჩუმე ჩაუდგა. ასეთივე მდგომარეობაში მივიდა სახლში და მკვდარივით ჩაეძინა.

ღილით გვიან გაიღვიძა. გუშინდელზე აღარ ფიქრობდა. საღამოს ისევ თეატრისკენ გაემართა. მაგრამ როგორც კი ფეხი შედგა დარბაზში, აფორიაქდა. განსაკუთრებული გულისყურით აკვირდებოდა სახეებს, იმ ქალს ეძებდა. მაგრამ ქალი არ გამოჩენილა. ფარდა დაეშვა. ყურებში ისევ ის უცნაური სიჩუმე ჩაუდგა. სპექტაკლი ისე დაიწყო და ისე დამთავრდა, არაფერი გაუგია.

მეორე დღილით ყმანვილი მატარებელში იჯდა და თავისი სოფლისკენ მიდიოდა. ვაგონში ჟივილ-ხივილი იყო. ახალგაზრდები შეკრებილიყვნენ და მხიარული საუბარი ჰქონდათ გამართული. ერთი კოპნია, ლამაზი სახის გოგო ყველაზე მეტად აქტიურობდა, ხან რას მოიგონებდა, ხან რას. წვიმა ახალი გადაღებული იყო და უცბად ცაზე

ცისარტყელა გამოჩნდა. „ცისარტყელის ქვეშ შვედივართ, ჩქარა, ყველამ თქვენი ცხოვრების მთავარი ნატვრა გაახმოვანეთ!“ – წამოიყვირა გოგონამ. „თქვენც უნდა გვითხრათ, თქვენც!“ – მიადგა უცნობ ყმანვილს და აღარ მოეშვა. ბიჭმა ფანჯარაში გაიხედა და ჩუმად თქვა: „ვნატრობ ხვალ კარგი ამინდი იყოს, ჩემი მთები რომ დავინახო.“ გოგონამ ზრდილობისთვის გაუღიმა, გულში კი გაიფიქრა: „რა სიმპათიური ბიჭია და რა შეზღუდული აზროვნება აქვს. ნუთუ ამაზე უკეთესი ვერაფერი მოიფიქრა?“

ყმანვილს კი ყურებში ისევ ის სიჩუმე ჩადგომოდა. მხოლოდ კავკასიონზე ფიქრობდა.

## „ვაჟკაცობის კოდექსი“

ეს სამაგალითო მეგობრობა იყო. სკოლის მერხიდან დაიწყო და თითქმის სამ ათწლეულს ითვლიდა. გიორგი და ბესო განუყრელები იყვნენ. მათი პიროვნული თვისებები თავიდანვე იპყრობდა ყურადღებას. ყველანი: ბავშვებიც და მასწავლებლებიც პატივისცემით ეპყრობოდნენ. ერთი მეორეზე უკეთესი ეს ორი ბიჭი პატარაობიდანვე ვაჟკაცობის და სამართლიანობის, კეთილშობილების და მეგობრისთვის თავდადების საოცარ უნარს ამჟღავნებდა. ამხანაგები ცდილობდნენ მიებაძათ მათთვის და მათგან მეგობრად აღიარება საამაყოდ მიაჩნდათ. თუმცა ბიჭები ყველას არ იღებდნენ თავის წრეში. ძალიან მკაცრი საზომი ჰქონდათ იმ თვისებებისთვის, რომლებიც, ვითომ



ხუმრობით, სიღრმისეულად კი დიდი სერიოზულობით შემუშავებული ე. წ.

„ვაჟკაცობის კოდექსის“ მოთხოვნებს დააკმაყოფილებდა. მათი ავტორიტეტი ვრცელდებოდა სკოლაშიც და უბანშიც. ნებისმიერი კონფლიქტის თუ გაუგებრობის დროს ბიჭები რჩევას ეკითხებოდნენ და მათ მართლაც საოცრად სუფთა დამოკიდებულებებზე აგებულ გადანყვეტილებებს უსიტყვოდ ემორჩილებოდნენ.

დრო გადიოდა. დაამთავრეს სკოლა. დაამთავრეს ინსტიტუტი. დაინყეს მუშაობა. დაოჯახდნენ. ბესოს საზღვარგარეთ მოუწია წასვლა. იქ თავისი საქმე წამოიწყო. ოჯახთან ერთად დაფუძნდა და წარმატებებსაც მიაღწია. განსხვავებულ ცხოვრებასთან მოუწია შეგუება და მოერგო კიდეც, მაგრამ ბავშობის მეგობარი არ დავიწყებია. პირიქით, როგორც კი პოზიცია გაიმყარა, გადანყვიტა გიორგი თავისთან წაეყვანა და თავის საქმიანობაში ჩაერთო.

და აი, გიორგი უკვე თვითმფრინავში იჯდა და იმედებით აღსავსე მიფრინავდა მისთვის ყოველთვის სანდო და საამაყო ადამიანის შესახვედრად. გზაში ფიქრობდა ერთად გატარებულ წლებზე, თავს გადამხდარ ამბებზე. უამრავი ეპიზოდი უტრიალებდა გონებაში: სიხარულით სავსე და სევდიანი, საამაყო და ტკივილნარევი, ზოგჯერ თავიდან შემცდარი და მერე გამოსწორებული, მაგრამ ყველა ღირსეული და ვაჟკაცური. გაახსენდა ორი პატარა ბიჭი, დირექტორის კაბინეტში რომ იდგნენ თავდახრილები: სამასწავლებლოდან ჟურნალი დაიკარგა და დირექტორი მთელ კლასს ემუქრებოდა დასჯით. გიორგიმ და ბესომ არც კი იცოდნენ, ვინ ჩაიდინა დანაშაული, მაგრამ პასუხისმგებლობა თავის თავზე აიღეს და ყველას მაგივრად აგეს პასუხი; ერთი რვა მარტის დილას კლასის ყვე-

ლა გოგოს და მასწავლებლებს ულამაზესი თაიგულები დახვდათ მერხებზე და ბოლომდე ვერავინ გაიგო, ვისი მორთმეული იყო – ყველა ბიჭის სახელი დაერქვა; ერთხელ საკონტროლოს რვეულებში ორი ზუსტად ერთნაირი ნაწერის გამო მასწავლებელი მოითხოვდა ელიარებინათ, გიორგიმ გადაწერა ბესოსგან, თუ პირიქით. ორივე თავის ნათქვამზე იდგა: „იმან იცოდა, მე კი გადავწერეო.“ ბოლომდე ერთმანეთის გამოსხნას ცდილობდნენ და საბოლოოდ ორივემ ორიანი მიიღო;

უამრავი ამდაგვარი ეპიზოდისგან შედგებოდა ამ ორი პატარა ვაჟკაცის ცხოვრება. ეს მათი წარსული იყო – ორივესთვის ძვირფასი და განუმეორებელი.

ბესო აეროპორტში დახვდა გიორგის უკანასკნელი მარკის ავტომობილით და

მძლოლით. პირდაპირ რესტორანში წავიდნენ და მთელი საღამო ერთად გაატარეს.

სალაპარაკო არ გამოლევიათ. ორივე ბედნიერი იყო. სამომავლო გეგმებიც დასახეს.

„ახლა ველარავინ და ველარაფერი მომერევა, რადგან შენ ჩემს გვერდით ხარ“ – უთხრა ბესომ და გიორგისთვის ასე ნაცნობი ბავშვური ლიმილი მოეფინა სახეზე.

საქმეს მეორე დღიდანვე შეუდგნენ. ბესო მეგობარს გვერდიდან არ იშორებდა, ყველა საქმიან მოლაპარაკებას მასთან ერთად აწარმოებდა. გიორგი გაოცებული იყო. კი იცოდა, რომ მისმა მეგობარმა ბევრს მიაღწია, მაგრამ ასეთ მასშტაბებს არ ელოდა. სიამაყით შეჰყურებდა ბესოს და ცდილობდა მისთვის ფეხი აეწყო. ოღონდ ერთი რამ არ მოეწონა მის საქციელში – ამ საქმიან ურთიერთობებში ყოველთვის გულწრფელი არ იყო: უნდობლობა და ტყუილი მისთვის ჩვეული გამხდარიყო. ვერ მოითმინა

და უთხრა: – ჩვენი „კოდექსი“ სულ დაგვიწყებია და არ მომწონს ეგ ამბავიო. მაგრამ ბესომ დაამშვიდა: – დიდ ბიზნესში სხვაგვარად არ შეიძლება, მთავარია, რომ ჩვენს მეგობრობას ეს არ შეეხება და ნულარ იფიქრებ ამაზეო. გიორგი მიენდო მეგობრის გამოცდილებას და მისი რჩევა გაითვალისწინა.

ერთ საღამოს მეგობრები რესტორანში წავიდნენ. ბესოს ახალგაზრდა ქალი ახლდა. გიორგის გააცნო: – ჩემი მეგობარიაო. იგრძნობოდა, რომ ამ ურთიერთობას ინტიმური ელფერი დაკრავდა. გიორგის არ ესიამოვნა ეს ამბავი. ბესოს ოჯახს კარგად იცნობდა და მეუღლეს დიდ პატივს სცემდა. მაგრამ მეგობრის ხათრით არაფერი თქვა.

მეორე დილით ჩვეულებრივ შეუდგნენ საქმეს. უამრავი პერსპექტიული გეგმა ჰქონდათ დასახული და კარგ ხასიათზე იყვნენ. კაბინეტში ახალგაზრდა კაცი შემოვიდა. ბესო წამოდგა, გადაკოცნა და გიორგი წარუდგინა. ერთ ხანს საქმეზე საუბრობდნენ, დამშვიდობებისას თბილად მოიკითხეს ერთმანეთის ოჯახები და სტუმარი წავიდა. ბესომ ჩუმად ჩაულაპარაკა მეგობარს: – ეს კაცი იმ ქალის ქმარია, გუშინ რომ მახლდა. ამის შემდეგ ხშირად შეხვედები და იცოდე, არაფერი წამოგცდესო.

ამას კი ვეღარ გაუძლო გიორგიმ. უცოდველი არც თვითონ იყო და თავგადასავლებიც ჰქონდა, მაგრამ ასეთ ორპირობას არ ელოდა. უხმოდ გავიდა ოთახიდან და კიბეზე დაემვა. ისევ ბავშვობისდროინდელი სურათები დაუდგა თვალწინ. ნაბლისფერთმიანი კოხტა გოგო გაახსენდა, ის და ბესო მუდმივად თვალყურს რომ ადევ-

ნებდნენ და არავის აკარებდნენ. იცოდნენ, რომ ერთ უბნელ ბიჭს უყვარდა, და სანამ ის ჯარში მსახურობდა, ერთგულ დარაჯებად ედგნენ მის სიყვარულს, ყველასგან იცავდნენ. ეს გოგო ყველასთვის ხელშეუხები უნდა ყოფილიყო. ახლა კი, ახლა მისი მეგობარი....

ისევ გაახსენდა, როგორ გადაეხვია ბესო იმ ქალის ქმარს და როგორი თვალთმაქცი ღიმილით ესაუბრებოდა. თავში სიცარიელე გაეჭედა. ქუჩას გაუყვა.

ფეხითმოსიარულენი ცოტანი იყვნენ, მხოლოდ მანქანები დაქროდნენ გამალებით. უცბად კისკისი მოესმა. მიიხედა და დაინახა ტროტუარზე მიმავალი სამი მოზარდი: ორი ბიჭი აქეთ-იქით ამოდგომოდა ლამაზ ქალიშვილს, ის კი უდარდელად იცინოდა. მას ისეთივე ნაბლისფერი თმა ჰქონდა, როგორიც იმ პატარა კოხტა გოგოს ბავშვობაში. თვალწინ დაუდგა ძველი გაცრეცილყდიანი რვეული, ბავშვური ხელწერით საგულდაგულოდ გამოყვანილი ასოებით რომ ეწერა: „ვაჟკაცობის კოდექსი“.

გიორგის ნაღვლიანად გაელიმა. ტაქსი გააჩერა და აეროპორტისკენ გაემართა.

## სიყვარულისთვის

– დიდი მადლობა, ქალბატონო. თქვენი ისტორია ძალიან საინტერესო იყო და ერთ–ერთი საუკეთესო იქნება ჩვენს რუბრიკაში „თავდადება სიყვარულისთვის“, – უთხრა ქალიშვილმა მოდურად ჩაცმულ სიმპათიურ მანდილოსანს და მიკროფონი გამორთო.

კამერით შეიარაღებულმა ქალ–ვაჟმა გზა განაგრძო.

ეს ყვავილების სურნელით გაჟღენთილი ვარდობისთვის დღე მართლაც რომ ზედგამოჭრილი იყო ადამიანების უმშვენიერეს გრძნობასთან დაკავშირებული ამბების მოსასმენად. ახალგაზრდები დილიდან დადიოდნენ ქალაქის ქუჩებში და ეძებდნენ რესპოდენტებს. დალლას ვერ გრძნობდნენ, კმაყოფილი იყვნენ იმ დღის ნამუშევრით. უამრავი ადამიანისგან მოისმინეს სიყვარულისთვის – ზოგადად ნებისმიერი სიყვარულისთვის თავდადების ისტორიები. შეყვარებულები, მეგობრები, მეუღლეები, დედები, მამები, დები, ძმები, შვილები – ვინ აღარ იყო მათ სიაში.

ერთ პატარა მზიან ქუჩას მიუყვებოდნენ და შთაბეჭდილებებს უზიარებდნენ ერთმანეთს. შორიდან შენიშნეს ერთი პატარა სახლის წინ სკამზე ჩამომჯდარი მოხუცი კაცი.

– მოდი ჩვენც ჩამოვსხდეთ და თან ამბავი მოვაყოლოთ, – თქვა გოგონამ.

– არ მგონია, რამე ახსოვდეს: შეხედე, რა მოხუცია, ალბათ ლაპარაკიც კი უჭირს, – უპასუხა ვაჟმა.

ამასობაში მიუახლოვდნენ სკამს და გაიგონეს, რომ მოხუცი თავისთვის ბუტბუტებდა: „რამოდენიმე დღე

უნდა მაცალო, ჩემო ერთავ, ახლა ვერ ვუღალატებ ჩემს ბიჭს. მაგრამ გპირდები, რომ მალე ერთად ვიქნებით.“ ახალგაზრდებმა ერთმანეთს გადახედეს.

– ვის ესაუბრებოდი, ბაბუ, დახმარება ხომ არ გჭირდება?

– თუ წამომაცენებთ და სახლში შემეყვანთ, შვილებო, მადლობელი ვიქნები. მარტო მიჭირს. ჩემს გარდაცვლილ მეუღლეს ვესაუბრებოდი. რა ხანია, თავისთან მელოდება. მეც ერთი სული მაქვს, როდის განვეშორები ამ ქვეყანას, ტკივილებს ვეღარ ვუძლებ. მაგრამ ახლა უფლება არ მაქვს, ამ კვირაში ჩემი სიკვდილი არ შეიძლება. ჩემი შვილიშვილი სკოლას ამთავრებს და სიხარულის დღეები აქვს. ვერ ჩავუშხამებ, ვერ ვუმტყუნებ... ძალიან მიყვარს. ჰოდა, მზეს ვეფიცხები ხოლმე, რომ ძალა მომცეს და რამოდენიმე დღე გამატანინოს...

ახალგაზრდები უხმოდ გამოვიდნენ მოხუცის ეზოდან და უხმოდ გაუყვნენ მზიან ქუჩას. ორივეს თალებზე ცრემლი მოდგომოდა.

## ცაცხვმა იცოდა

ქალაქში ერთი ცაცხვი იდგა – მრავალწლიანი და მრავლისმნახველი. მის გარშემო სახლებში მცხოვრებ ყველა ადამიანს იცნობდა. მის თვალწინ თაობები იზრდებოდა და ხემ ყველას ასავალ–დასავალი იცოდა. ზოგი ადამიანის ფიქრიც ესმოდა – მათი, რომელთაც ეს ცაცხვი უყვარდათ. ხესაც უყვარდა ისინი. უკვე დაბერებული იყო და ძირითადად თვლემდა ხოლმე.

ერთი ზაფხულის ცხელ დღეს კი მისი ფოთლების შრი-ალმა არემარე შეძრა. მეზობელმა ხეებმა დაინახეს, როგორ უთრთოდა ტანი. ქვემოთ იყურებოდა და შფოთავდა.

შემდეგ ფიქრებით წარსულში გადავიდა. თვალწინ დაუდგა ორი ზურგჩანთიანი ბავშვი – ცქრიალა გოგო და ბუნჩულა ბიჭი. ისინი მეზობლად ცხოვრობდნენ და მის თვალწინ გაიზარდნენ. ტოლები იყვნენ და სკოლაშიც ერთ კლასში სწავლობდნენ. გაკვეთილების შემდეგ ხშირად შინ ერთად ბრუნდებოდნენ. გზად თავის საყვარელ ცაცხვთან შეჩერდებოდნენ ხოლმე, დანყებულნი საუბარი რომ დაემთავრებინათ და დამშვიდობებოდნენ ერთმანეთს მეორე დღემდე. გოგო მოლაპარაკე და კისკისა იყო. ბიჭი – უსიტყვო და სერიოზული. ასე გრძელდებოდა წლიდან წლამდე მათი მეგობრობა, ყველაზე თბილი და სუფთა – კლასელების მეგობრობა. და მხოლოდ ცაცხვმა იცოდა, რას ნიშნავდა თითოეულისთვის ეს გრძნობა: ბიჭი ხშირად იდგა ხოლმე ჩაფიქრებული საყვარელი ხის ქვეშ და გოგონას ფანჯრებს უყურებდა. ბავშვობის მეგობარი მისთვის საოცნებო ქალად ქცეულიყო. გოგო კი ვერაფერს ხვდე-

ბოდა. სკოლა ისე დაამთავრეს, ბიჭმა ვერ გაბედა გრძნობის გამხელა. შემდეგ დაიწყო სტუდენტობა სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში, უფრო იშვიათი შეხვედრები და მოხდა ბიჭისთვის სრულიად მოულოდნელი რამ – გოგონა თავის თანაკურსელზე გათხოვდა და საცხოვრებლად სხვაგან გადავიდა. მხოლოდ ცაცხვმა და ბიჭის დედამ იცოდნენ, რა ტრიალებდა ბიჭის გულში – ცაცხვმა, რომლის ქვეშ ის ისევ იდგა ხოლმე გულჩათხრობილი, და დედამ, რომელიც ყველაფერს ხვდებოდა, რადგანაც მის შვილს სათუთად ჰქონდა შენახული სურათი, საიდანაც ილიმოდნენ ცაცხვის ქვეშ ჩამომსხდარი პატარა ბიჭი და გოგო.

გადიოდა წლები. მათი ცხოვრების გზები აღარ იკვეთებოდა. შემთხვევით თუ შეხვდებოდნენ ხანდახან. ჩაეხუტებოდნენ ერთმანეთს, მოიკითხავდნენ. მაშინ ბიჭი ფიქრებით წარსულში ბრუნდებოდა, მაგრამ გოგოს მაინც არაფერს ეუბნებოდა, ჩვეულებრივ დაემშვიდობებოდა ხოლმე. ბოლოს მანაც მოიყვანა ცოლი. შვილებიც ეყოლა. მაგრამ ოჯახი ვერ შეინარჩუნა. ჯანმრთელობამაც უმტყუნა. სერიოზული დაავადება შეეყარა. ექიმებმა გააფრთხილეს ახალგაზრდა კაცის მშობლები, რომ მისი სიცოცხლე საფრთხეში იყო. ის კი არ ეუუებოდა. არაფერს იმჩნევდა. თავის შვილებზე ზრუნავდა.

იმ ზაფხულის დღეს სახლში ბრუნდებოდა და ცაცხვის ქვეშ შეჩერდა სულის მოსათქმელად. უცბად შენიშნა მისკენ მომავალი მომღიმარი ახალგაზრდა ქალი – ის ერთ დროს ტიკტიკა გოგო და ახლა უკვე მოზრდილი შვილების დედა. თავის მშობლებთან შეეველო და შინ ბრუნდებოდა.



გაუხარდათ ბავშვობის მეგობრებს ერთმანეთის ნახვა. გაიხსენეს სკოლის პერიოდი და სხვა კლასელები, ბევრი იცინეს. უცბად კაცი ჩაიკეცა. ქალმაც იქვე ჩაიმუხლა – ეფერებოდა და ამხნევებდა. ხალხიც შეიკრიბა, სასწრაფოც მოვიდა, მაგრამ ველარ უშველეს. კაცის გულმა ფეთქვა შეწყვიტა... ქალი ტიროდა. კაცს კი ბედნიერი სახე ჰქონდა.

ბებერ ცაცხვს ის დღე გაახსენდა, მის ქვეშ შეკრებილი გოგო – ბიჭები ბედნიერებაზე და სიკვდილ – სოცოცხლეზე რომ ლაპარაკობდნენ და სწორედ ამ ბიჭმა თქვა: – ბედნიერი წავალ იმქვეყნად, სიკვდილის წინ საყვარელი ქალის ცრემლები თუ დამეცემა გულზეო.

და იწვა კაცი მიწაზე საყვარელი ცაცხვის ქვეშ. მომლიმარი სახე და გულ-მკერდი საყვარელი ქალის ცრემლებს დაენამა. მაგრამ ქალმა ვერასდროს გაიგო, რომ უფალმა ბავშვობის მეგობრის უკანასკნელი ნატვრის შესრულება დააკისრა.

ცხოვრება ისევ თავის გზით წავიდა. ისევ თვლემდა ქალაქში მრავლისმომსწრე ცაცხვი. მზის ამოსვლასთან ერთად გამოცოცხლდებოდა ხოლმე და გახედავდა იმ კაცის დედის ფანჯარას, რომლის მიღმაც მოჩანდა მოხუცი ქალის სასთუმალთან ლამაზ ჩარჩოში ჩასმული სურათი: პატარა გოგო და ბიჭი ცაცხვის ქვეშ ჩამომსხდარიყვნენ და ილიმოდნენ.

2014



ჩანსა სეცები

## დაბრუნეთ

ქათქათა ღრუბლის ქულაში ცხოვრობდა და ლურჯ ზეცაში ლივლივებდა. ერთი ჩვეულებრივი გამჭვირვალე წვეთი იყო. არაფრის ეშინოდა. მყუდროდ გრძნობდა თავს. დღე მზის ოქროსფერ სხივებს ეთამაშებოდა და ათასფრად ირეკლებოდა, ღამით მთვარის ვერცხლისფერ ბილიკებზე ცეკვავდა. იქვე სხვა წვეთებიც იყვნენ და ამ ათინათებს მათ ჩუქნიდა ხოლმე. თითქმის ვერასდროს ვერ იჭერდნენ წვეთები ამ სხივებს, მაგრამ ის მაინც ჩუქნიდა და ჩუქნიდა. გული უმღეროდა. მშობლიურ ღრუბელს არ შორდებოდა. დროდადრო გააყოლებდა ხოლმე თავს სხვა ღრუბლებიდან გამომხტარ წვეთებს, გამალეებით რომ მიექანებოდნენ დედამინისკენ. თუმცა, არასდროს მონდომებია გაეგო, რა ხდებოდა ქვემოთ.

ერთხელ, თვითონაც ვერ მიხვდა როგორ გადმოვარდა თავისი ღრუბლიდან. უკან დაბრუნება უნდოდა, მაგრამ ვერ შეძლო. სიმძიმით დაეშვა დედამინისკენ. თან ეშინოდა, თან გულს იმაგრებდა. მის გვერდით სხვა წვეთები ისეთი ჟივილ-ხივილით ცვიოდნენ, რომ ინტერესმა სძლია და ბედს მიენდო. ბოლოს გამოჩნდა უზარმაზარი ლურჯ-მწვანე ოკეანე, უამრავი მისნაირი წვეთისგან შემდგარი. ოღონდ რაღაც ჰქონდათ მათ სხვა, ერთი შეხედვით რომ არ ჩანდა, ისეთი. ხელებს უქნევდნენ, ეძახდნენ. და ისიც ჩაეშვა. ისეთი ხმაური იყო, კინალამ გული გაუსკდა. მარილისგან სხეული აენვა. ირგვლივ კი ყველა ისეთი კმაყოფილი ჩანდა, რომ საკუთარი შეგრძნებების შერცხვა. იფიქრა: – რა უჭირს, ახლა აქ ვილივლივებ, მეც ხომ ამათი ნაწილი ვარო. ცოტათი გული დაწყდა, რომ გამჭვირვალე აღარ იყო, მაგრამ ამასაც შეეგუა. თანაც იქ ერთი წვეთი ეგულებოდა, ციდან დაშვებისას მთელ გზაზე რომ გვერდით მოყვებოდა და უღიმოდა. მისი იმედი ჰქონდა. თვალეები დახუჭა და მოდუნდა. არ იცოდა,

რა დრო გავიდა. ტალღების აურზაურში ხმების გარჩევა დაინყო. უცბად ჩაესმა: – ძალიან უფერულიაო. მიხვდა, რომ მასზე ამბობდნენ. მიიხედა და გული ეტკინა. ის წვეთი იყო. – თქვენ არ იცით, მზის სხივებზე მე როგორ ფერებად ვინთებო, – წამოიყვირა. უკვე იცოდა, რომ არავინ უსმენდა.

ცას ახედა და თავისი ღრუბელი ინატრა. მზეც ამოსულიყო და ულიმოდა. უკან დამაბრუნეო, – შეევედრა ნიავს. იგრძნო, როგორ ამსუბუქდა. სხეულზე დაიხედა და იმედი ჩაესახა. ისევ ჩვეულებრივი გამჭვირვალე წვეთი იყო.

## ბარდნას რომ დაიწყებს

ყოველთვის მიყვარდა თოვლი, თბილისის ორდღიანი თოვლიც კი. ბავშვობაში მაბრუნებდა. რალაც იმედიანი აღტაცებით მავსებდა. შემეძლო უსასრულოდ მეყურებინა, როგორ ცეკვავენ თეთრი ციდან ჩამოსული ფანტელები, როგორ ირეკლებიან ლამპიონების შუქზე დაფენილი თოვლის ათინათები, როგორ სიმშვიდეს ასხივებენ შორეული თეთრი მთები. მეც ვივსებოდი ამ სითეთრით და წინასწარ არასდროს ვფიქრობდი თბილისის თოვლის გარდაუვალ დასასრულზე – ტალახიან თოვლ-ჭყაპზე.

წელსაც მოუთმენლად ველოდი, როდის გათოვდებოდა. დიდ ხანს მომიწია ლოდინი, მხოლოდ ზამთრის მიწურულს წამოვიდა ჩემი ნანატრი ფანტელები. მაგრამ ვუყურებ ცას და პირველად ცხოვრებაში არ მიხარია: ყელში მწარე ბურთი მაქვს გაჩხერილი და მახრჩობს. „ცხოვრების ზამთარზე“ დავფიქრდი. თითქოს ჯიბრით, ჩემი საყვარელი ფიფქების ნაცვლად სველი, წვრილი თოვლი მანყდება, ბურუსში რომ გადადის და ძვალსა და რბილში აღწევს.

სხეულის ყველა უჯრედით შევიგრძენი: ცრემლნარე-  
ვია ეს ფანტელები. მეტკინა სანატრელი სითეთრე.

ეს ის თმის სითეთრეა, მამაჩემს რომ მაგონებს. ეს  
ჩემი ცრემლებია, ჯერ რომ თვალებიდან არ გადმოსულა.  
ეს სევდა მტკივა. ეს მარტოობა მტკივა. ის ჩაცინება მი-  
ყვარს და ჩემი ბამბისქულა ფანტელები მენატრება.

ვიცი ისევ გამიხარდება, ბარდნას რომ დაიწყებს,  
ისევ გავილიმებ თოვლიან ცას რომ ავხედავ. მაგრამ ისიც  
ვიცი, რომ დღევანდელ შეგრძნებას ველარასდროს და-  
ვივინყებ. იქვე გულს შემიკუმშავენ თეთრი ფარფატები,  
ცაშივე რომ ხვდებიან, დედამინისკენ სწრაფვა ტალახად  
გადააქცევს, მაგრამ მაინც მოდიან და მოდიან.....

2011

## ფიქრთა ნაბლუჯები

უსასრულო ცისფერი ნათება ნაღვლიანად დაჰყურებს  
დედამინას და მის ყველა კუთხე-კუნჭულს ხედავს. დაუ-  
ლალავად და უხვად უგზავნის დედამინაზე მოფუსფუსე  
ადამიანებს თავის ცისფერ სხივებს. ყველანი თავისი წი-  
ალიდან ჰყავს გაშვებული და თითოეულის გულში წინას-  
წარ აქვს ჩადებული ასეთივე პატარა სხივები. უნდა რომ  
მისმა შვილებმა ცხოვრების გზაზე გაამრავლონ ისინი და  
დიდ სინათლედ გადააქციონ. მაგრამ ძალიან ცოტას ძა-  
ლუძს ამ განძის შენარჩუნება. ზოგს, რაც დაბადებიდან  
აქვს ჩადებული, ისიც უმცირდება, ზოგთან – ბჟუტავს და  
ზოგთან – საერთოდ ქრება. დაულალავი მნათობი კი ისევ  
და ისევ აგზავნის თავის თავს, მაგრამ უგუნური, ბრმა  
ადამიანები გვერდს უვლიან მათთვის ჩამოსულ ნათელს  
და უფრო მეტიც, ფეხქვეშ თელავენ მას.

ასე გრძელდება წლები, ათწლეულები, ასწლეულები და ათასწლეულები...

ცრემლიანი ნათება მოთმინებით დაჰყურებს დედამიწას. ის კი უდარდელად ტრიალებს და არ იშორებს თავის მუდმივ თანამგზავს – უზარმაზარ შავი ბურუსის სფეროს.

შავმა სფერომ კი თავის საქმე კარგად იცის. გარს უვლის დედამიწას, არ უნდა რამე გამოორჩეს. ცისფერ სხივებს რომ დაინახავს, სასწრაფოდ აგზავნის თავის შიკრიკებს – გამაბრუებელ ბურუსებს, თუმცა ზოგიერთებმა კარგად იციან მათი არსებობა, ეშინიათ და ფრთხილობენ. ამიტომ შავმა თავისი სხივები ცისფრად უნდა გადალებოს, ადამიანებმა ნამდვილს რომ მიამსგავსონ და მოტყუდნენ. ძალიან ბევრგან აღწევს მიზანს: ბეცი, ამპარტავანი კაცუნები ფერებს საერთოდ ვერ არჩევენ. შენიღბული სხივები აქვთ მოპოვებული და ამაყად იყურებიან ცისკენ. საბრალო, „დატყვევებული“ ადამიანები! დედამიწიდან უსასრულობისკენ მიმავალ გზაზე მათ სულებს ხელიდან ეცლებათ ყალბი ნათელი. შეშინებულნი, გაძარცვულნი უახლოვდებიან ჭეშმარიტებას და სინანულის ცრემლები ახრჩობთ ფუჭად განვლილი ცხოვრების გამო. მაგრამ უკან ველარაფერს დააბრუნებენ.

უხვად ეცემა ცოდვილ დედამიწას მათი ცრემლები. ივსება ზღვები, ოკეანეები ... და ასე გრძელდება წლები, ათწლეულები, ასწლეულები და ათასწლეულები...

უხილავი ფურცლების ნაგლეჯებზე ამოტვიფრული ამ სულების წარსული წლების სურათები ფარფატებენ ადამიანებს შორის. შემდეგ ფიქრთა ნაგლეჯებად იქცევიან და ზოგჯერ ხილულ ფურცლებზეც იწერებიან სხვათათვის: იქნებ საკუთარი ცხოვრების გზაზე გამოადგეთ ხანდახან...

\* \* \*

გაზაფხულის სურნელით გაჯერებული საღამო გარინდულიყო. ვარდისფერ ოთახში ტახტზე მინოლილი ხუჭუჭა, გიშრისთვალა გოგონა ჩუმად იცრემლებოდა. კარი გაიღო და თეთრთმიანი ბებია შემოვიდა. ტახტს მიუახლოვდა, კიდეზე ჩამოჯდა და გულში ჩაიკრა პატარა ქალი.

– რა იყო, ბები, რა მოხდა?

ბავშვი თავს მაღლა ვერ სწევდა და ნაწყვეტ-ნაწყვეტ ამბობდა:

– მე ძალიან ცუდი ვარ... ეზოში ბავშვებს საშინლად მოვექეცი... ალბათ არავინ მაპატიებს...

– ნუ ტირი, შვილო. კარგია, რომ თვითონ მიხვდი. გამოსწორებ შეცდომას. ამხანაგებიც გაპატიებენ და ღმერთიც გაპატიებს. მას ხომ ყოველი ჩვენგანი უყვარს, მენც ძალიან უყვარხარ.

გოგონას სახე გაუნათდა, გული დაუმშვიდდა და მყისვე ჩაეძინა.

მას შემდეგ ვარდისფერი გაზაფხული რამოდენიმეჯერ მოვიდა...

გიშრისთვალა გოგო ეშხიან, ტანად ქალიშვილად ქცეულიყო. ნვიმდა. მეგობარ გოგონასთან ერთად ქალაქის ნაცნობ ქუჩას მიუყვებოდა და გამვლელების აღტაცებულ მზერას იფერებდა.

მეგობარმა შეჰბედა:

– რატომ მოიქეცი გუშინ ასე ბოროტად? გინდა ყველას სიყვარული დაკარგო და უმეგობროდ დარჩე?

გიშრისთვალამ გადაიკისკისა. იქვე მაღაზიის ვიტრინაში საკუთარი გამოსახულება შეათვალიერა და თქვა:

– მდაბიოთა სიყვარული არ მჭირდება. მე ღმერთს ვუყვარვარ. ყველაფერს მაპატიებს და სურვილებსაც შემისრულებს...

მეგობარმა გულდანყვეტით გადაიქნია თავი. აღარაფერი უთქვამს.

გაზაფხულს გაზაფხული მისდევდა...

ქალაქის ერთ-ერთი პრესტიჟული უბნის მდიდრულად მოწყობილ უზარმაზარ ბინაში სავარძელში ორმოცდაათიოდე წლის ქალი იჯდა და ყავას შეექცეოდა. ჯერ კიდევ საკმაოდ ეშხიანი იყო. გიშრისფერი თვალები უციმციმებდა. ნებივრობდა და თან მორიგ ჩახლართულ გეგმას აწყობდა. იცოდა, სანადელის მისაღებად უკან არაფერზე დაიხედა. წინასწარ იყო დარწმუნებული გამარჯვებაში. „მე ხომ ღმერთს განსაკუთრებით ვუყვარვარ. მისი რჩეული ვარ. ამ საქმეშიც ისევე დამეხმარება, როგორც ყველა დანარჩენში. რა ბედნიერებაა, რომ სწორედ ასეთი დავიბადე. ვიცი, ისევ გამიმართლებს...“ – ჩაილიმა და საყვარელი ბებიის სურათს გახედა.

სურათზე ტუჩები ოდნავ შეირხა:

„მარტო შენ კი არა, შვილო, ყველა უყვარს, ყველა!“

მაგრამ ქალს არაფერი გაუგონია.

ვარდისფერი გაზაფხულების ჯარმა ჩაიარა...

მოხუცთა თავშესაფრის მისაღებაში ტელეფონის ზარი გაისმა. ახალგაზრდა ვაჟმა ერთ-ერთი ბინადრის ჯანმრთელობის ამბავი იკითხა. მორიგემ უპასუხა:

– თვითონ კი კარგად არის, მაგრამ სულ შვილიშვილებს გკითხულობთ. იქნებ ინახულოთ.

– ძალიან დაკავებული ვარ. თუ დროს გამოვძებნი, მოვალ. – თქვა ვაჟმა, თან გაიფიქრა: „როდემდე უნდა ვირბინო აქეთ-იქით, დავიღალე!“

თავშესაფრის ბინადარი მოხუცი ქალბატონი კი იჯდა ფანჯარასთან სავარძელში და გზას თვალს არ აცილებდა. წლებს უკვალოდ არ ჩაეარა: ნელში ვერ სწორდებოდა, სახე დანაოჭებოდა, ჩამქრალი თვალების ფერის გარჩევაც კი აღარ შეიძლებოდა.



ისე შებინდდა, არც უგრძვნია. ღამის ბურუსიც ჩუმად შემოიპარა ოთახში. ქალი არ ინძრეოდა...

კარი გაიღო და თეთრთმიანი ბებია შემოვიდა – შორეული, საყვარელი, თბილი ბებია. მოხუცი სავარძელში შეირხა. თვალებში ახალგაზრდობის მივინწყებულმა გიშერმა გაიელვა. გონება უმალ უკან გადაევლო განვლილ გაზაფხულებს. სავარძელში ისევ ის პატარა გოგო იჯდა. თავზე თბილი ხელის შეხება იგრძნო. თვალები დაენამა. უტყვად წაიჩურჩულა:

– ბები, შენ მაინც ხომ გიყვარვარ?...

– მე კი მიყვარხარ შვილო, მაგრამ...

ოთახში გაზაფხულის სუნი იცრემილებოდა.

\* \* \*

„დედა, დღეს დამაგვიანდება“, – დაიძახა გასასვლელიდან ლურჯთვალა გოგომ. პასუხს არც დაელოდა, ისე გაიხურა კარი და კიბეზე ჩაირბინა. დედა გამოვიდა ოთახიდან, მაგრამ თვალის შევლებაც ვერ მოასწრო. რამოდენიმე საათის შემდეგ ისევ გაისმა კიბეზე გოგონას ქუსლების ბაკუნი. კარი გასაღებით გააღო. მშობლების საძინებელში სინათლე რომ დაინახა, -მოვედიო, – მიაძახა და თავის ოთახში შევიდა. დედა მივიდა ქალიშვილის ოთახთან, უნდოდა მისგან რამე მოესმინა. მაგრამ შვილმა დაღლილობა მოიმიზეზა და ნაღვლიანი ქალი ისევ უკან დაბრუნდა.

ცოლ-ქმარი ერთმანეთს შეჰყურებდა. ვერ გაეგოთ ქალიშვილის ასეთი გაუცხოების მიზეზი. ეს უკვე წლები გრძელდებოდა. იგი ხან გაურბოდა მათ, ხან ეჩხუბებოდა. ხანაც ისევ პატარა თბილ გოგოდ იქცეოდა ხოლმე, ოღონდ ეს ძალიან იშვიათად ხდებოდა. თავიდან გარდატეხის ასაკს აბრალებდნენ. შემდეგ ამ გარდატეხის ასაკის ყველა ვადა ამოიწურა. ლურჯთვალას უმიზეზო გაბოროტებას კი ბოლო არ უჩანდა. მჯობის მჯობი არ დაილევა, მაგრამ ცუდი მშობლები ნამდვილად არ იყვნენ:

ერთმანეთი ც უყვარდათ და თავის ქალ-ვაჟსაც სითბოსა და სიყვარულში ზრდიდნენ. ბოლო წლების განმავლობაში კი ეს გაუგებარი გაუცხოება ტრიალებდა მათ ოჯახში არც ერთ წევრს არ აძლევდა მოსვენების საშუალებას.

გოგონამ თვითონაც არ იცოდა რა ემართებოდა შინ. რატომ აღიზიანებდა საკუთარი, ერთ დროს სათაყვანებელი, დედა. ზოგჯერ დანახვაც კი არ უნდოდა მისი. ცდილობდა რაც შეიძლება მეტი დრო გაეტარებინა გარეთ. შინ მისული კი დაძინებას ჩქარობდა. იქ, ძილში, ცალკე ცხოვრება ელოდა. უამრავ სიზმარს ხედავდა. დილით ზოგი ახსოვდა, ზოგი – არა.

იმ ღამესაც ჩვეულებრივ მოემზადა დასაძინებლად. მალე ვარდისფერ ნისლში ჩაიძირა. სახეზე ღიმილმა გადაურბინა: ისევ მოვიდა ის, ვისთან ყოფნაც ასე უყვარდა ხოლმე – მისი ორეული, თუ დაიკო, ოდნავ მასზე სუსტი და ოდნავ ღია ფერის თვალებით. უზომოდ უყვარდა მასთან ხელჩაკიდებული ჯდომა და საუბარი.

პირველად თორმეტი წლისას ესტუმრა. ფანჯრიდან შემოვიდა საოცრად თბილი და მშობლიური, მისი მსგავსი ცისფერთვალა. სანოლის კიდეზე ჩამოჯდა და თვალებში ჩახედა... მაგრამ სწორედ ეს იყო ის ზმანება, რომელიც დილით არასდროს ახსოვდა. იცოდა, რომ რალაც კარგი ნახა, მაგრამ ვერასდროს იხსენებდა. უამრავ რამეზე საუბრობდნენ ხოლმე. ერთმანეთის ყველაფერი იცოდნენ. ეს სწორედ ის ცისფერთვალა გოგო იყო, მის დად რომ უნდა მოვლენოდა ქვეყანას. იგი საოცარი სიყვარულის მატარებელი აღმოჩნდა. სხვებიც იყვნენ მასთან ერთად, ვინც შეიძლებოდა ლურჯთვალას და მისი ძმის დები და ძმები გამხდარიყვნენ. მაგრამ როცა გაიგეს, მშობლებს ერთ ქალ-ვაჟზე მეტი არ უნდოდათ, უკან დაიხიეს და დანებდნენ. ცისფერთვალამ კი მაინც სცადა: თვითონ ისე უნდოდა დაბადება, იფიქრა, როცა დედა მის გულისცემას შეიგრძნობდა, აღარ გასწირავდა. მაგრამ მოტყუვდა – არ მოინდომეს ის მშობლებმა

და თავიდან მოიშორეს. თუმცა პატარას სიძულვილი მაინც არ გასჩენია. გულით უყვარდა ისინი და როცა ძილში დამ შენიშნა, სიხარულით ცას ეწია. მოდიოდა ღამლამობით და ესიყვარულებოდა საყვარელ დაიკოს.

სამაგიეროდ ლურჯთვალამ ვერ აპატია დედას. ყოველ სიზმარში ჰპირდებოდა ცისფერთვალას, მეც შენსავით ვაპატიებო. მაგრამ როგორც კი გათენდებოდა, აღარც ზმანება ახსოვდა და ველარც იმას იგებდა, რატომ ექცეოდა ასე უგულოდ საკუთარ მშობლებს.

ისევ დილაა. ისევ ჩარბის კიბეზე ლამაზი გოგო. ისევ აყოლებს ფანჯრიდან თვალს ნაღვლიანი დედა, გული ეკუმშება და ვერაფერი გაუგია...

\* \* \*

მამაკაცი სასაფლაოს ჭიშკარში შევიდა და ნაცნობ ტკივილიან ბილიკს გაუყვა. თავისი ერთადერთი სიყვარულის, თავისი მეუღლის საფლავისკენ მიიჩქაროდა. გულში ჩაკრული ყვავილი მიუტანა. ჩამოჯდა და ჩვეული საუბარი დაიწყო. ასე მოდიოდა თითქმის ყოველ დღე და თავის მეორე ნახევარს სიჩუმესა და მარტოობაში გატარებული ღამეების ნააზრევს უზიარებდა.

საფლავების მომვლელი ქალები, თვალს რომ მოკრავდნენ, ერთმანეთს გადახედავდნენ და უკვე მერამდენედ იტყოდნენ აღტაცებით: „ამბობენ, უზომოდ დიდი და ლამაზი სიყვარული ჰქონიათ. მთელი ცხოვრება ერთმანეთს მიუძღვნეს. ეს კაცი ახლაც ამ სიყვარულით სულდგმულობს. საოცარია პირდაპირ!“

რამოდენიმე საათის შემდეგ მამაკაცი წამოდგა. მხოლოდ ახლა მიმოიხედა. მოშორებით, ერთ-ერთ საფლავთან შენიშნა ადამიანების ჯგუფი. აყველას გულწრფელად ნაღვლიანი სახეები ჰქონდათ. მომვლელი ქალების საუ-

ბარი ჩაესმა: „როგორი მაღლიანი კაცი ყოფილა, რამდენი სიკეთე უკეთებია. ყველას ახსოვს. ამდენი დროა გასული, მაგრამ ხალხი მაინც მოდის.“ კაცს გულმა იქით გაუწია. საფლავზე სურათს რომ დახედა, მაშინვე იცნო. ოდესღაც, მასთან, მაშინ ხუჭუჭა, ბუთხუზა ბიჭთან ერთად, ერთ კლასში სწავლობდა. თუმცა სკოლის დამთავრების შემდეგ ერთმანეთს ვეღარ ხვდებოდნენ. არც მისი სიკვდილის ამბავი გაუგია და არც საფლავი შეუნიშნავს იმ დღემდე. თვითონაც გაჩერდა იმ ადამიანების გვერდით. მათი საუბრიდან მიხვდა, რომ ისინი აქ სწორად მოდიოდნენ და ერთნაირი თბილი და ტკივილნარევი სევდით იხსენებდნენ მათვის ახლობელ პიროვნებას.

კაცი მოგონებამ გაიტაცა. გონებით ნახევარ საუკუნეს გადაევიდა: თითქოს გვერდიდან დაინახა მზიანი საკლასო ოთახი და ცელქი გოგო-ბიჭები. ზარი დაირეკა და შემოვიდა ახალგაზრდა, მოხდენილი ქართული ენის მასწავლებელი. „ბავშვებო, დღეს ვწერთ თავისუფალ თემას სიყვარულზე. ვისაც როგორ გინდათ, ისე წარმოიდგინეთ თქვენი სიყვარული, ახლანდელიც და მომავალიც“ – თქვა მან და რვეულები ჩამოარიგა. ბავშვებმა გულმოდგინედ დაიწყეს წერა. კაცი თავის თავსაც ხედავდა – მაღალ გამხდარ ბიჭუნას, და ხუჭუჭა ბუთხუზასაც. მარტო ისინი ისხდნენ დიდ ხანს ჩაფიქრებულები და მხოლოდ გაკვეთილის ბოლოს დაწერეს რამოდენიმე წინადადება. მეორე დღეს კლასში შემოსულმა მასწავლებელმა სწორედ მათი ნამუშევრები აღნიშნა: „ბავშვებო, ორი საუკეთესო, მოკლე, მაგრამ ძალიან შთამბეჭდავი თემა მინდა გამოვყო და წაგიკითხოთ.“ გამხდარ ბიჭუნას ეწერა: „ჩემი სიყვარული ერთი უზარმაზარი ვარდისფერი ბურთი იქნება. მხოლოდ ერთადერთ ღირსეულ გოგონას ვაჩუქებ. ისიც ასეთივეს მომიძღვნის და მე მას თვალის ჩინივით გავუფრთხილდები“... ბუთხუზასაც უზარმაზარ ბურთად წარმოედგინა სიყვარული და ეწერა: „ჩემი რძის-

ფერი ფუმფულა სიყვარული ისეთი დიდი იქნება, რომ მთელი ცხოვრების მანზილზე ადამიანებს ბლუჯა-ბლუჯა დავუღიგებ, ის კი არ დაიღევა“... მასწავლებელმა მეოცნებე სახით გაიხედა ფანჯარაში და დაამატა: „არც კი ვიცი, ჩემთვის რომელ სიყვარულს ვინატრებდი“...

მამაკაცი ფიქრებიდან გამოერკვა და საფლავთან შეკრებილებს გადახედა. მოეჩვენა, თითქოს თითოეულს გულის ჯიბიდან რძისფერი ფუმფულა ბლუჯა მოუჩანდა, თვალებში კი ერთნაირი თბილი სხივები ჩასდგომოდათ. „ნეტავ მე ვინ მომაკითხავს სიკვდილის შემდეგ?“ – გაუელვა თავში და თვალები აუცრემლიანდა. თავისი ვარდისფერი ბურთი დაუდგა თვალწინ. ხელები გამალა და წაიჩურჩულა: „ნამოდი შინ, საყვარელო, შენ ერთადერთი ხარ და ყველაზე ლამაზი“...

\* \* \*

„რა საოცარი ბავშვია!“ – აღმოხდებოდათ ხოლმე პატარა ხუჭუჭთმიანი ბიჭის თაფლისფერ თვალებს შეფეთებულ ადამიანებს. და მართლაც, საოცარი იყო ამ თვალების გამომეტყველება. რალაც დაფარული ძალა და სიბრძნე იგრძობოდა ბიჭუნას ყოველთვის მშვიდ მზერაში. იგი ტაძართან ცხოვრობდა და ყველა მასში შესულ და გამოსულ ადამიანს აკვირდებოდა. მხოლოდ ის ხედავდა პატარა ეკლესიის გარშემო ზეციურ ნათელს და მის ფონზე კარგად არჩევდა თითოეული კაცის თუ ქალის, ბავშვის თუ მოხუცის დაფარულ „მე“-ს. იმ უხილავ ოქროსფერ სხივებს ხედავდა, მხოლოდ ზოგიერთ მათგანს რომ სდევდა თან და ტაძრიდან გამოსვლის შემდეგ კიდევ უფრო უძლიერდებოდათ გულით მლოცველ ადამიანებს. სიხარულის ნაპერწკლები აუციმციმდებოდა ხოლმე თაფლისფერ თვალებში ამ ადამიანების დანახ-

ვისას. იცოდა, სიკეთეს სწორედ ეკლესიის გავლით რომ აიტანდნენ ზეცაში მათი სულები. იმ უხილავ ჭუჭყისფერ სხივებსაც კარგად არჩევდა, უამრავს რომ ჰქონდა და არც საჩვენებელი კეთილი საქმეები და არც მლოცველად სიარული რომ არ შეველოდა. ბიჭი მთელ დროს განჭვრეტაში ატარებდა. ხანდახან გადიოდა ქალაქში. იმ ადამიანებს სტუმრობდა, როლებიც უყვარდა. მათ შორის განსაკუთრებული იყო პაპა – პაპა, რომელიც მართლაც სიყვარულს და სიკეთეს განასახიერებდა. ყველა პატივს სცემდა და ლოცავდა. ასე ამბობდნენ, მთელი ცხოვრება სხვების დახმარებას და გახარებას შეაღწიაო. პატარა ბიჭიც ხშირად მიდიოდა მასთან. მოხუცი უამრავ რამეს უყვებოდა, ხელობასაც ასწავლიდა.

იმ დღესაც პაპასთან მივიდა პატარა. ჩვეულებრივ საუბრობდნენ. ბიჭმა ლოცვა ახსენა. პასუხად დუმილი მიიღო. ჩაეკითხა და მიხვდა, რომ პაპას მთელი ცხოვრება ეკლესიის გარეშე გაეტარებინა.

– ისეთ დროში გავიზარდე შვილო, რწმენაზე არავინ საუბრობდა და მეც ასე მოვედი აქამდე, – თავი იმართლა მოხუცმა.

– ხვალ აუცილებლად ჩემთან ერთად წამოხვალ, – მტკიცედ უთხრა ხუჭუჭამ.

დილით ჩააკითხა მოხუცს. სახლთან ხალხი შეგროვილიყო. პაპა ცოცხალი აღარ დახვდა.

ბიჭი გარეთ გამოვიდა და ცას ახედა. უსასრულობას სწვდებოდა თაფლისფერი სიღრმე. და პირველად არ იყო მის თვალებში სიბრძნე და სიმშვიდე. პირველად ელოდა შეშფოთებული პასუხს, რადგან არ იცოდა, საით წავიდა მისი სათაყვანებელი პაპა...

ტაძარში კი ღია კარიდან უცხო ნიავი შემოვიდა და ხატების წინ აკიაფებული სანთლების ალი კრძალვით აათამაშა.

\* \* \*

ფუსფუსებს გატანჯული ქალაქი. მოძრაობენ ადამიანები, ზოგჯერ მარტო, ზოგჯერ გვერდიგვერდ. ხან ჯგუფთებიან, ხან ისევ იშლებიან. ხან ეფერებიან ერთმანეთს, ხან ერჩიან.მათი ხმები მუდმივ ზუზუნად გადაქცეულა, ზოგჯერ რომ იღევა, ზოგჯერ კი ძლიერდება.

და ეს ყველაფერი უსუსურია იმ უკიდევანო სიჩუმესთან, ადამიანთა ფიქრების სახელს რომ ატარებს. უხილავ მრავალფერ ღრუბლებად რომ დასდევს თითოეულს და მოსვენებას არ აძლევს. ვერ ხედავენ ადამიანები ამ ღრუბლებს: ვერც საკუთარს და ვერც სხვისას. ვერც იმ ტალახისფერ სლიპინა არსებებს არჩევენ, ადამიანებს რომ არ შორდებიან, ამ ღრუბლებს ეპატრონებიან და თავისფრად ღებავენ. ადამიანთა ბატონებად გრძნობენ თავს და მზაკვრული ღიმილით ესევიან არემარეს. განსაკუთრებით იმ ადგილებისკენ მიილტვიან, სადაც სიფრიფანა ანგელოზები ცდილობენ ცაში აახედონ ჯიუტი ადამიანები. ტალახისფერი არსებები ანგელოზებს ვერ ეკარებიან, მაგრამ ფიქრთა ღრუბლებში ადვილად აღწევენ, აღწევენ და უსუსურ ადამიანებზე ხითხითებენ.

იმ წვიმიან დღესაც ყველაფერი ჩვეულებრივ იყო. ერთ-ერთი სლიპინა, – სწორედ ის, დანარჩენი სლიპინები ცინიკოსად რომ მოიხსენებდნენ ხოლმე, თავისი ჩვეული გასართობით იყო დაკავებული. ვისთანაც სიყვარულის ვარდისფერ ღრუბელს შენიშნავდა, სწორედ მას მიადგებოდა. თავის მენამული ფერის ნისლს გაუშვებდა, ძნელსაცნაურ სიტყვებად რომ გამოიკვეთებოდა ღრუბელში: „არ იმრუშო!“ და ჩაიცინებდა. მერე ეს ხასხასა ნისლი თანდათან რუხ ფერს იღებდა და ვარდისფერს ამღვრევდა. ცოდვის მახეში გაბმული ადამიანები სიყვარულს და მრუშობას ვეღარ ანსხვავებდნენ. კმაყოფილი სლიპინა კი მათი მდგომარეობით ტკბებოდა.

იმ დღესაც ისევ ის ქალი დაინახა, ჩქარი ნაბიჯით რომ მიუყვებოდა ქუჩას და ვარდისფერი ღრუბელი რომ დასდგომოდა თავზე. ამ ქალს დიდი ხნის წინ დაადგა თვალი. მენამული ნისლიც შემოახვია, მაგრამ სასურველ შედეგს ვერ იღებდა. ვერაფერი გაეგო. გარეგნულად ქალი ისე იქცეოდა, ტალახისფერის მიერ დაგებული მახისთვის თავი რომ ვერ უნდა დაეღწია.

დროდადრო დაადგებოდა ქუჩას, რომლის ბოლოს, თბილ ოთახში კაცი ელოდა. და იწყებოდა:

რეალობას მოწყვეტილი საათები.

გაყინული ფიქრთა ღრუბელი.

თვალეები მხოლოდ ორის.

სიტყვები მხოლოდ ორის.

ნაპირებიდან გადმოსული სიხარულის ზღვის გარინდება.

და ისევ გაუნელებელი სითბო...

მერე ქალი უკან ბრუნდებოდა და კვლავ მეორედებოდა: გაცოცხლებული ფიქრთა ღრუბელი.

ნაღვლიანი ჰანგები.

ხატის წინ ჩაქინდრული თავი...

მაგრამ გრძნობას მინდობილი ქალის გული ისევ ნაცნობი ქუჩისკენ მიილტვოდა, – ქუჩისკენ, რომელიც ხან აყვავებული ხეების სურნელით იყო გამთბარი, ხან თაკარა მზეში ფოთლების შრიალით გაგრილებული, ხან შემოდგომის სიტკბოთი განაზებული და ხან ქათქათა თოვლით გაჩუმებული. ეს გული იყო, სლიპინას რომ თავგზა აუბნია, ბორკილებს რომ ვერ ეთვისებოდა და თავისუფლებას ვერ თმობდა.

არა და არ გადადიოდა რუხ ფერში მენამული ნისლი. პირიქით, ფარფატა ვარდისფერში ერეოდა და ნათდებოდა.

და ისევ მიიჩქაროდა წვიმიან ამინდში ქალი კაცისკენ. ისევ მისდევდა უკან მხრებჩამოყრილი ტალახისფერი



სლიპინა. და ისევ ვარდისფერი იყო ვარდისფერ მონატრებას დანებებული ქალის გარშემო ღრუბელი.

\* \* \*

დედაქალაქის ერთ-ერთ რესტორანში სუფრას რამოდენიმე მონიფული მამაკაცი უზის. გარეგნობასა და მეტყველებაზე ეტყობათ აღზრდა და ინტელექტი. საუბარი მიდის ყველაფერზე ერთდროულად. თანდათან ხშირდება წარსულის მოგონებები. ნათელია, რომ ეს ადამიანები ბავშობიდან ერთად მოდიან. ცხოვრებამ სხვადასხვა მიმართულებით გადაისროლა და სხვადასხვა საქმიანობას ეწევიან, მაგრამ მაინც ერთ განზომილებაში ტრიალებენ. ერთმანეთთან იმ უხილავი ახალგაზრდობის ძაფებით არიან დაკავშირებული, რომლებსაც ვერც დრო და ვერც მანძილი ვერ ერევა. მუდმივად რჩება ადამიანებს შორის გაბმული, თუ ისევ მათ არ მოინდომეს განყვეტა.

იხსენებენ უნივერსიტეტის ბედნიერ წლებს: ლექციებს და დროსტარებას, შრომას და მომავლის იმედით აღსავსე მიზნებს, ერთმანეთის სასიყვარულო ამბებს და პროფესიულ მიღწევებს. ყველას ბედნიერი ღიმილი უთამაშებს სახეზე. დავინწყებიათ ერთმანეთის თანამდებობები და ბოლო წლების მიღწევები თუ წარუმატებლობა. მხოლოდ პირად პრობლემებს ახსენებენ გაკვრით და ერთმანეთს დახმარებას პირდებიან. მერე ისევ წარსულს უბრუნდებიან. ისევ ის პირტიტველა ანცი ყმანვილები არიან, ერთმანეთის კარგიც რომ იცოდნენ და ცუდიც, ერთმანეთს კვერს რომ უკრავდნენ და კიცხავდნენ, ჩხუბობდნენ და რიგდებოდნენ, კამათობდნენ და ზავდებოდნენ. ისევ ის მხიარული ბიჭები არიან, სასაცილო მეტსახელებით რომ იხსენიებდნენ ერთმანეთს და ხუმრობის და სერიოზულობის დაუღალავ ნაზავში ლალად მიაბიჯებდნენ გვერდიგვერდ.

სათუთად უჭირავთ მეგობრებს ხელში გადახლართული ანმყო და წარსული. ნამცეცვიც კი არ უნდათ რომ დაკარგონ.

- ბიჭებო, გახსოვთ ... ?
- ისიც ხომ გახსოვთ ... !
- იმ დღეს იცით რომელ სურათებს ვათვალიერებდი?...
- გამოიცანით, გუშინ ვინ დავინახე...

მოგონებების მატარებელმა ცოტა ხნით შეისვენა. ერთ-ერთმა იკითხა:

- ბიჭებო, ჩვენი „მოზგა“ ისევ დაკარგულია?
- ხო, გვემალება...
- საუკეთესო იყო ჩვენს შორის. ყველას გვეჯობდა.
- არ გაუმართლა, ვერაფერს მიაღწია...
- ალბათ, ამიტომაც არ გვეკარება...
- ამას წინათ შემთხვევით დავინახე ისეთ ხალხთან, ადრე რომ არც იკადრებდა. მედიდურად იდგა მათ შორის და ისინიც შესცივინებდნენ. თვალი ამარიდა.
- იცით რა გამახსენდა? ყველას ერთი და იგივე კითხვას რომ გვისვამდა: „ხელმოცარულ არნივად ყოფნა ჯობია, თუ გამორჩეულ ბელურადო?“

სუფრასთან სიჩუმე ჩამოწვა. ბიჭები ჩაფიქრებული სხედან. ღვინის ჭიქებიდან არეკლილი ლიცლიცა სხივები ჭერს მიეყინა. ისევ უპასუხოდ იღლება შეკითხვა: „რა ჯობია?“

\* \* \*

დილის ხუთი საათია. ისევ ბნელა. მთელ ქუჩაზე მხოლოდ ორი ფანჯარაა განათებული. ერთ-ერთში შუახნის ქალის სილუეტი მოჩანს. ოთახში ბოლთას სცემს და ვილაცას ესაუბრება. მოუხშირდა ასეთი ღამეები – მთელი

დღის ნაშრომს რომ ჩაეძინება, მაგრამ მალევე ეღვიძება და ველარ ისვენებს. მისი თანამოსაუბრე უხილავი ორეულია. ამ ბოლო დროს სტუმრობს მასთან და განვლილ ცხოვრებას უქექქავს.

ქალი გონებას დაბავს, ცდილობს ყველაფერი გაიხსენოს. ხან კმაყოფილია, ხან თავს იმართლებს, ხან ბრაზობს, ხან კითხვებს სვამს და პასუხი ვერ გაუცია. ორეული კი არ ასვენებს, უკირკიტებს და უკირკიტებს:

– გახსოვს, როგორ დასდევდი შენს დას ფეხდაფეხ და ცდილობდი ყველაფერში მიგებადა?

და ამოტივტივდა მეხსიერებაში პატარა მორცხვი გოგონა. წლების განმავლობაში უფროსი და რომ კერპად ჰყავდა გამხდარი. ეამაყებოდა ყოველი მისი საქციელი. ცდილობდა ყველაფერი მისნაირად ეკეთებინა. მასავით იცვამდა, ივარცხნიდა, ლაპარაკობდა. ისეთივე ბიჭები მოსწონდა, მეგობრებსაც კი მისი მეგობრების მსგავსს ირჩევდა. ყველასთან თავის საუკეთესო დაზე ლაპარაკობდა, მისი მაგალითი მოჰყავდა და ირწმუნებოდა, როცა გავიზრდები, მეც მასავით ლამაზი და ჭკვიანი ვიქნებიო.

– მერე რა იყო ამაში ცუდი? ჩემი და მიყვარდა, მომწონდა და მინდოდა ყველაფერი მისი მსგავსი მქონოდა.

ორეული კი უცნაურად იღიმის:

– შური იყო ეს, შური. ბავშვობაშიც გშურდა და ახლაც გშურს...

ქალი ნამოჭარხალდა. გული გამალებით უცემს.

– რა გინდა ჩემგან? ორიოდ ნათელი მოგონება-ლა შემრჩენია. ისიც გინდა ჩამიმწარო? გინდა მითხრა, რომ ცხოვრებაში ყველაფერს ბოროტი ზრახვით ვაკეთებდი? რომ მაშინაც კი, როცა ყველაზე გულწრფელი და უმანკო ვიყავი, ბნელი აზრებით ვმოქმედებდი? არ გამოგივა ჩემი ხაფანგში გამომწყვდევა. თავი დამანებე!

– შურია ეს, შური... – არ იშლის ორეული.

თავჩაქინდრული ქალი ფანჯარასთან ზის და აღარ

პასუხობს. მისი მტანჯველი კი ქუჩის მოპირდაპირე მხარეს მეორე განათებულ ფანჯარას უყურებს. იქ მასავით უჩინარი, ამ ჯერად მამაკაცის ორეული დგას და რალაცას ანიშნებს.

იმ ოთახშიც იგივე ხდება: ქალარა მამაკაცი ოთახის შუაგულში დგას და თავს იმართლებს თავისი ორეულის წინაშე.

ის კი არ ასვენებს:

– შენი ძმის არასდროს არაფერი მოგწონდა. გიყვარდა, მაგრამ ყოველ მის საქციელს აკრიტიკებდი და ყველაფერს მის საწინააღმდეგოს აკეთებდი.

– მერე რა, განა უფლება არ აქვს ადამიანს თავისი შეხედულებები ჰქონდეს მათ მიხედვით იმოქმედოს? რამეს ხომ არ ვუშავებდი. უბრალოდ სხვანაირი ადამიანი ვარ.

– მასავით არ აკეთებდი კი არა, ვერ აკეთებდი. სინამდვილეში გშურდა მისი. იცოდი რომ მასავით არ გამოგივიდოდა და ამბობდი, ვითომ არ მოგწონდა. ჩვეულებრივი შური გამოძრავებდა ყოველთვის და ეხლაც ეს გამოძრავებს.

– კაცი გაოგნებული სახით იყურება და პასუხისთვის სიტყვები აღარ აქვს.

ერთი ბნელი ქუჩის ორი განათებული ფანჯრიდან კი ორი უხილავი ორეული ნიშნებით ელაპარაკება ერთმანეთს.

სავსეა ქვეყანა ასეთი ორეულებით. ოღონდ ზოგ მათგანს სძინავს, ზოგი კი ფხიზლობს. ყველაფერი იციან, ყველაფერი ახსოვთ: ახალშობილის პირველი ამოსუნთქვიდან დაწყებული, მომაკვდავის უკანასკნელი აზრებით დამთავრებული.

დაუნდობლები არიან.

და ცრემლები უყვართ, ადამიანების სინანულის ცრემლები.

\* \* \*

მწვანეკედლებიანი პალატის ფანჯარაში ბინდი იპარება. ავადმყოფის სანოლი შუაში დგას. თეთრთმიანი, მაგრამ ჯერ კიდევ ახალგაზრდული სახის ქალბატონი აპარატზეა მიერთებული.

ფანჯარასთან მისი შვილები სხედან: ორი ქალი და ერთი მამაკაცი. თავები ჩაქინდრული აქვთ. უსიცოცხლო დედაზე ფიქრობენ. ვერ უპატიებიათ საკუთარი თავებისთვის, რომ დედის ავად გახდომა არც გაუგიათ. თუმცა ეს მისი სურვილით მოხდა. ჩუმად გაიკეთა ანალიზები და დიაგნოზი არავისთვის გაუმხელია. ცდილობდა, არავის არაფერი შეენიშნა. სიცოცხლის დარჩენილი დღეები კი მაქსიმალურად შვილებთან და შვილიშვილებთან გაეტარებინა. მორიგეობით დადიოდა თითოეულთან, მათი ცხოვრებით სუნთქავდა. მარტო ბავშვობის მეგობარს, იმას, დასავით რომ ჰყავდა მთელი ცხოვრება გვერდით, სცოდნია ყველაფერი. მაგრამ შვილებმა ვერც კი უსაყვედურეს. დედათქვენმა ამიკრძალა თქვენთვის რამის თქმავო, – უთხრა მეგობარმა.

ერთ მშვენიერ დღეს კი კლინიკიდან დარეკეს, – დედათქვენი უგონოდ არის და მობრძანდითო... იქ შეიტყვეს უტყუარი დიაგნოზის და მოახლოებული დასასრულის შესახებ.

და აი, სხედან დები და ძმა. ესმით საყვარელი დედის სუნთქვა. მაგრამ, ვეღარც მის თაფლისფერ თვალებს ხედავენ, ვეღარც მშობლიურ ღიმოლს. აღარც მისი თბილი ხმა ესმით. ერთმანეთს შეშფოთებულები ეკითხებიან:

– ეს როგორ დავუშვით, როგორ ვერ გავიგეთ, რომ ავად იყო?

– ერთხელ მაინც როგორ ვერაფერი შევნიშნეთ?

– სიცხეები თუ ჰქონდა, გადაკოცნისას როგორ ვერ ვგრძნობდით?

–მხოლოდ ის მახსენდება, დამშვიდობებისას როგორ შემომხედავდა ხოლმე, თითქოს მეთხოვებოდა. არც ამას ვაქცევდი ყურადღებას...

– ნამდვილად არც ერთხელ არ შემპარვია რაიმე ეჭვი...

პალატაში მობილური ტელეფონის ზარი გაისმა. ერთერთი და პასუხობს:

– არა, შვილო, ახალი არაფერია. თუ რამე იქნება საჭირო, თვითონ დაგირეკავთ. თქვენს საქმეებს მიხედეთ. ნუ ინერვიულებთ. მაგრამ შენი ხმა არ მომწონს. გატყობ რალაც განუხებს... ხომ იცი, მე არაფერი გამოიმეპარება... აუცილებლად დამირეკე...

ავადმყოფი უხილავმა მოუსვენრობამ შეიპყრო.

„ღმერთო, დაიფარე ჩემი შვილები და შვილიშვილები...“ – აფარფატდა პალატაში მომაკვდავი დედის ვედრება.

ერთი სართულით ქვემოთ კი ჩვილის ტირილი გაისმა. ახალგაზრდა დედა შეშფოთებული თვალებით უყურებს თავის პირმშოს. და ვერაფერი შეედრება ამ თვალების სიღრმეს, უკვდავებას რომ ეჭიდება და სანაცვლოდ არაფერს ითხოვს.

2009

## სარჩევი

წინასიტყვაობა .....	3
ლექსები .....	7
*** სარკეში ვხედავ ნაცნობი სახის... ..	8
*** ნაცრისფერ ცაზე თეთრი ღრუბელი... ..	9
*** <i>На сером небе облачко белеет...</i> .....	9
*** აღარ მინდა შუბლშეკრული ხალხი... ..	10
ბავშვი ტიროდა .....	11
*** მარტო დარჩება ჩემი საფლავი... ..	12
ფიფქები ცრემლად ქცეული .....	13
სადგური .....	14
Вокзал .....	15
პეპელას ნუ იჭერთ .....	16
*** განა მართლა ბევრი უნდა იმედს?... ..	17
*** <i>Что может в сердце заронить надежду?</i> .....	17
ჩემი ოცნების მერი .....	18
*** ნეტავ ვნატრობდე გაზაფხულს.... ..	19
თარიღი ორი .....	20
იქნებ წვიმასაც ტირილი უნდა? .....	21

ბედის ირონია .....	22
პაემანი ბედთან .....	23
ნუ მეტყვი, ვიცი .....	24
<i>Не говори мне ничего, ведь я и так все знаю...</i> .....	25
და მაინც .....	26
იმან იცის .....	27
ყვაოდა იასამანი .....	28
Воспоминание, как аромат сирени... ..	29
გაფრინდება .....	30
*** იმ ზამთარს... ..	31
*** <i>Он каждый раз...</i> .....	31
ჩემს ლურჯთვალას .....	32
*** Я в осени себя признала .....	33
«Еще не вечер...» .....	34
დაღამებამდე ჯერ კიდევ დროა .....	36
<b>ნოველები</b> .....	39
ქამელეონი .....	40
„დიდი კაცები“ .....	42
მეტამორფოზა .....	43
„ვაჟკაცობის კოდექსი“ .....	47



სიყვარულისთვის .....	52
ცაცხვმა იცოდა .....	54
<b>ჩანახატები .....</b>	<b>57</b>
დააბრუნეთ.....	58
ბარდნას რომ დაინყებს.....	59
ფიქრთა ნაგლეჯები .....	60

A serene winter landscape featuring a dense forest of trees heavily laden with snow. The sky is a pale, clear blue, and numerous white snowflakes are captured in mid-fall, creating a soft, ethereal atmosphere. The trees in the foreground and middle ground are completely white, while a single, darker evergreen tree stands out on the left side. The overall scene is peaceful and evocative of a quiet winter day.

ISBN 978-9941-0-7446-2



9 789941 074462